# ცისკარი.

## 1870

### აგვისტო

წელიწადი მეთოთხმეტე.

---

წოდება თხზულებათა:


I. იჭვიანი. თ. რაფიელ ერისთავისა.
II. ბულბული (ლექსი). იოსებ ქაჩუხა-შჳლისა.
III. ნამდიდრევის მოგონება. (ლექსი.) მისივე.
IV. ბეატრიჩე ჩენჩი (მოთხრობა.) გ. ასათიანისა.
V. ურიების თორა. კონსტანტინე ბერძენოვისა.


---


ტფილისს.
მარტიროზიანის ტიპოგრაფიაში.

# „ცისკრის“ რედაქციისაგან

---

ვინცა კითხულობს ჩუჱნ „ცისკარსა იმ წლითგან, რა წლითგანაც დავიწყეთ გამოცემა, იმას კარგათ მოეხსენება, რომ მომავალს 1871 წელიწადს ეს ჟურნალი გადადგება მ ე თ ხ უ თ მ ე ტ ე ს წელიწადში, რაც საკუთრივ ჩუჱნ ჴელთ მძღვანელობით გამოდის; ამასთანავე ესეც მოეხსენება, თუ რა ღირსებითაც გამოიცემა, ან რა შრომაც ეჭირება. მართალია, ბევრი ნაკლულევანება ჰქონია, მაგრამ ესეც მართალია, რომ ამ ნაკლულევანების მიზეზი ყოფილა ღონის-მიება, რადგანც იმდენი ჴელის მომწერნი არა ჰყოლია, რომ შესძლებიყო ღირსეულად გამოეცა და ამის მიზეზიც ყოფილა ის მტრობა და სიშურე, რომელიცა რამდენჯერმე აღმოუჩენიათ ზოგი ერთა ცრუ . . . მოყვარეთა. კიდეგაც ჩუჱნ მეცადინეობას და ამასთანავე სასოებას არა ვკარგავთ და ვეცდებით მომავალს 1871 წელიწადს გამოვცეთ ბევრით უკეთესად. ახლა ამის მეტს ვეღარას ვიტყვით,—ჩუჱნის თხუთმეტის წლის შრომის პატივის-საცემად;—პატივის-საცემად მამა-პაპეულის ენისა და იმ მწიგნობრობისა, რა წმინდა ქართულის ენით [illegible]ჭდე-

ბა ეს ჟურნალი,—იმედი გვაქჳს კელს მოგვიწერენ ქარ-თული ენის მიმდევნი პირნი, ამითი გაგვამხნევებენ, რომ შვეთ ვიზრუნით სამშობლოს ენისათჳს, არ დავდიოთ არა ვითარსა სიმურესა და შეცილებასა.

ფასი საკუთრივ „ცისკრისა“ არის შჳდი მანეთი გაგზავნით. ვისაცა სურდეს ამ ჟურნალის დაბარება, ვთხოვთ ამ ადრესით დაიბარონ და სჳედრი ფასიც გამო-გზავნონ:

„ცისკრის რედაქტორს ივანე კერესელიძეს.

**Редактору грузинскаго журнала „Заря“ Ивану Кереселидзе.—**

რედაქტორი და გამომცემი ი. კერესელიძე.

ტფილისს.
1870 წელსა. სეკტემბრის 25-სა.

---

# იჭვიანი

ვოდევილი ერთს მოქმედებად, გარდაკეთებული რუსულითგან, შემდეგ ფრანციცულისა, თ. რაფიელ ერისთავისამიერ.

მოქმედნი პირნი:

სვიმონ შერეულიძე (30 წლისა).
ანასტასია მისი ცოლი (20 წლისა).
გულმართლისა, მათი მოახლე (25 წლისა).

მოქმედება საქართველოს ერთ ქალაქში, შერეულაძის სახლში, პატარა ოთახში. პირ დ პირ კარები სჩანს დ მარცხნივ ფანჯარა; მარჯვნივ—გასავალი კარი სამოახლოში; მარცხნივ—საწოლს ოთახში შესავალი კარი; სცენაზედ, მარჯვნივ, სტოლი დგას, სუფრა გადაფარებული.

## I

სვიმონ. (შემოდის აჩქარებული შუა კარებიდგან, იღლიაში ქოლგა ამოჩრილია). სუ! კარები ღია ყოფილა... მაშ ჩემი თვალის ჩინი შინ უნდა იყოს?.. ტასო! ტასიკო! (მიდის მარცხნივ) უთუოთ სძალნაში იქნება...

(მოესმის ხმაურობა მარჯვნივ მხრიდგან და მივა კარებთან) არა, სამზვარეულოში თუ ითითხნება? იქნება მურაბეებს აკეთებდეს?.. (წამოდგება წინ სცენაზე) კაცი რომ ცოლს შეირთავს, მაშინ გამოერუვდება და მაშინ დაუდგება თვალები!.. ორი თვე არ არის რაც ჯვარი დავიწერე და დღეში ორასჯერ შემივა ხოლმე ეჭვი, ჩემცოლში: ხან მგონია ფანჯარიდგან სხვას უყურებს მეთქი; ხან რომ ჩაფიქრდება, მგონია სხვაზე ფიქრობს მეთქი; ბარათი რომ მოუვიდეს ვისიმე, თუნდა დედიდგან იყოს, მე მგონია მეგობრის წიგნია მეთქი; თუ წავა სადმე, მე მგონია თავის საყვარელთან წავიდა მეთქი... სადაც უნდა ვიყო, სულ ამაზედ ვფიქრობ, და გამოვჩერჩეტდი!... თავში ცეცხლი მეკიდება, გული მიჩქროლამს და გაბოროტებული, ვემუქრი ჩემს გულში, ხან ჩემს ცოლს, ხან ვიღაცა უცნობს ჩემს დამღუპავს და ვფიქრობ გავსრისო ის, როგორც ჯინჭველა!.. ჩემი ცოლი? რა უყო ჩემს ცოლს?. (პუბლიკისკენ). ერთი მიბრძანეთ, რა უყო ჩემს ცოლს?.. ნეტა დღეს სად იყო, ისე დილა ადრიანა? სად და ვისთან წასულიყო?.. ოხ! რომ ვიცოდე, მაშინ!.. (შუბლზედ კელს ისომს და დაბლა იყურება მრისხანეთ.) არა! ის იყო, სწორეთ ის იყო!... ვარდის ფერი კაბა, ნაკერი თასაკრავი, ლურჯი თავზედ მოსახვევი, ტან წვრილი, თეთრი სარტყელი... დიახ, დიახ ის იყო! მეიდნის თავში თვალი მომკრა და ქარვასლისკენ შეუხვია.... ნეტა ვისთან დარბის ასე დილა ადრიანა? მაგრამ, რომ ვიჭვნეულობ, ჯერ რა სა-

ფუძველი მაქუს? ან-კი როგორა ვსწამობ ისეთს მოქმედებას, რომელშიაც იქმნება ისე მართალია, როგორც მტრედი... მერე, ჩემი იჭვი, იმას სულ არ მოჰკლავს? უფრო არ გააორგულებს ჩემზედ?... (ჩაფიქრდება.) თუ დანაშაულია? მაშინ? (ამდროს მივა მარჯვნივ კარებთან და უნდა გააღოს.)

---

## II

სვიმონ და ანასტასია (ჩაცმული, ისე როგორც მისმა ქმარმა გამოხატა.)

ანასტასია. (შემოდის შუა კარიდგან.)

მგონია, მე ვერავინ დამინახა?

სვიმონ.—(მიბრუნდება) ეს რასა ვხედავ? ის ტანისამოსი!

ანასტასია. (ქმარს რომ დაინახავს.) უი!...

სვიმონ.—რა დაგემართა?.. შენ, მგონია, სადღაცა ყოფილხარ?

ანასტასია.—მე? არსად......

სვიმონ.—როგორ არსად, რომ წამოწითლებული ხარ და ოფლი გადმოგდის სახეზედ?..

ანასტასია.—აქ ვიყავ, ახლო!.... (თავისთვის) იქნება დამინახა?!....

ს ვ ი მ ო ნ.—(იქით) სწორეთ, ესა ვნახე: ვარდის ფერი კაბა, ნაკერი თავსაკრავი, ლურჯი თავზედ მოსახვევი, თეთრი სარტყელი, წვრილი წელი!.. (ანასტასიას, მკაცრად) სადა ბრძანდებოდი, ქალბატონო?..

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. რათ გინდა რომ იცოდე? რა საკითხავია?.

ს ვ ი მ ო ნ. აბა ერთი შემობრუნდი...

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა—(მანტილის მოიხსნის) რისთვსა, ქა!.

ს ვ ი მ ო ნ.—სწორეთ ის წელი! (ანასტასიას). სად იყავ? მე ხომ გნახე... მითხარი!...

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. (იქით) უი, ჩემს თავს!.. (სვიმონს) სად ვიქნებოდი?. ემანდ ბაზარში მიველ.

ს ვ ი მ ო ნ... ასე ადრე?.. რა გინდოდა ბაზარში?..

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა... რა მინდოდა და, სავაჭრო....რამდენი რამ იმისთანა სასყიდელია, რომ მოსამსახურეს ვერ ენდობი, ან ვერ იყიდის....

ს ვ ი მ ო ნ,..... რა იყო იმისთანა, რა იყიდე?

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა.... ნემსები მინდოდა და ვერ ვიშოვნე მთელ ქალაქში.

ს ვ ი მ ო ნ. (თავში შემოიკრავს). ვაჲ დალოცვილო ოჯახო!. (იქით) ნემსები ვერ ვიშოვეო?.. (ანასტასიას) როგორ დავიჯერო რომ ნემსს ბიჭი ვერ იყიდდა და ან შენ ვერ იშოვნე ნემსები?

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. ნემსები-კი არის, მაგრამ ისეთი ნემსები ვერ ვიშოვე, როგორიც მე მინდოდა...

ს ვ ი მ ო ნ. (იქით). ახლა-კი ვხედავ, რა ნემსებსაც ემებდა ჩემი ქალბატონი!.. (ანასტასიას) მართალია, შენ რომ ნემსისთჳს ყოფილხარ იმას ბიჭი ვერ გიშოვიდა!.. იქნება კიდეც იშოვიდა, მაგრამ იმისთანას ვერა, როგორიც შენ გდომია... (პუბლიკისკენ.) აბა, ახლა მომედო ციება, აი! ტაშნი სულ ჟრიანტელმა დამიარა, თითქო ჭიანჭველები დამეხვივნენო!...

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. (პუბლიკისკენ) ნეტავი ერთი სარკეში ჩამახედა!... მგონია ისეთი წამოწითლებული ვარ, როგორც ტურა?!.

ს ვ ი მ ო ნ (ცოლს). ტასო!

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. რა გინდა, შენი ჭირიმე?.!

ს ვ ი მ ო ნ. რა მინდა და, ის მინდა რომ, შენ მარტოკა ბაზარში აღარ წახვიდე, უბიჭოთ არ სად გახვიდე, თორემ, ხომ იცი, ლამაზი ხარ..... ათასი ოხერი კაცი დაეხეტება.... ამოგედევნება, ბიაბროობას რასმეს მოგაყენებენ.... ვინ რა იცის რომ შენ შერეეულამის ცოლი ხარ?...

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. ნეტა რას ტუტუცობ! ვინ რას გამიბედავს, დღისით? ღამე ხომ არ არის.

ს ვ ი მ ო ნ. ვინ რას გაგიბედავს? რას გაგიბედავს და, ამოგივლის გვერდით... ხალხი მიდის-მოდის... ამოგეხახუნება მაინც.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა.—სისო! დღეს როგორღაც შერეულათა გხედავ!.. რასა ჰბოდამ, შენ თითონ არ გესმის?

ს ვ ი მ ო ნ..... რასა ვბოდამ? ანკი რატომ არ გადა-

ვირევი? ამიტომ რომ, შენ რაღასაც მიმალავ, მაშინ, როდესაც ცოლმა, სრულებით, არაფერი არ უნდა დაუმალოს ქმარსა!.......

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. მერე, დაგიმალე?.....

ს ვ ი მ ო ნ.—რა დამიმალე? ის მე ვიცი, რაც დამიმალე!..

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა....(შესცქერის გაშტერებული) სვიმონ, არა გრცხვენიან იჭვნეულობა? (ტირილით). მე შენი სიყვარულისაგან გაგიჟებული ვარ, ჩემის თავისა აღარა მესმის-რა დ შენ კი იჭვები შემოგაქს!... ის არა სჯობია, ისევ იმ აზრზედ იყო, როგორც აქამდის იყავ?—

წახვიდე სამსახურში დ რომ დაბრუნდები, ვისაუვარელოთ, უიჭოთ!.....

ს ვ ი მ ო ნ. ვინ იჭვნეულობს? მე არ ვიჭვნეულობ... აი, მივალ სამსახურში, ჩემო სულის კოლოფო! (მიდის დ ანბობს) წავალ დ ისევ, უცებ, მოვბრუნდები, რომ გავიგო შინაური საიდუმლო ანგარიშები. (გავა).

---

## III

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. (მარტო) საცოდავი ჩემი ქმარი!.. რომ იცოდეს მე რას უმალავ იმას! შემჭამდა! რომ იცოდეს, სად ვიყავი ამ დილას, ან რისთჳს ვიყავი—მომკლამდა!... რომ წარმოვიდგენ, ციება მომდის! ღმერთო, რა მძლეია ჩვეულება, უსარგებლო დ დასაძრახისი ჩვე-

ულება?... არა, უნდა გავფრთხილდე; დიდი სიფრთხილე მმართებს... რა ბედნიერები არიან კაცები... იმათ ხომ ყველა შეეტყვებათ, ყველას ნება აქუსთ, ჩუკენ კი.....

ანასტასია ꝺ გულ-მართლისა.

გ უ ლ მ ა რ თ ლ ი ს ა. ქალბატონო, მზვარეულმა შინდი მოიტანა ꝺ მოგახსენათ, რა უყოთ?

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა.—მოიტანა?... კარგი, მე თვითონ დავხედავ. (გავა)·

ს ვ ი მ ო ნ.. (გამოდის უცებ მარცხნივ ოთახითგან, გოგოს ვერა ჴხედავს, ჵუბლიკისკენ). არა, მე არა ვარ შემცდარი! აქ კაცი ყოფილა! აქაურობა თამბაქოს სუნითა ყარს!.... ვიხრჩობი!........

გ უ ლ მ ა რ თ ლ ი ს ა...ბატონო, რაზედა წუხებით?..

ს ვ ი მ ო ნ.—ოჰ, გულმართლისავ, შენ?!. აქ მოდი.

გ უ ლ მ ა რ თ ლ ი ს ა (მიუახლოვდება სვიმონს). რას მიბრძანებთ?

ს ვ ი მ ო ნ.—გულმართლისავ!

გ უ ლ მ ა რ თ ლ ი ს ა.—ბატონო!

ს ვ ი მ ო ნ.—შენ ხომ გულმართლისა ხარ?

გ უ ლ მ ა რ თ ლ ი ს ა.—დიახ......

ს ვ ი მ ო ნ. აქ ვინ იყო?

გ ლ მ ა რ თ ლ ი ს ა.—სადა?

ს ვ ი მ ო ნ.—აქა.

გ უ ლ მ ა რ თ ლ ი ს ა.—ვინ უნდა ყოფილიყო?

ს ვ ი მ ო ნ.—სულ არა ვინ?

გ უ ლ მ ა რ თ ლ ი ს ა.—ქალბატონი ბრძანდებოდა.

ს ვ ი მ ო ნ.—კაცი თუ დადის?

გ უ ლ მ ა რ თ ლ ი ს ა. სახლში კაციც მოვა დ ქალიც.

ს ვ ი მ ო ნ. არა, ვერ მიხვდი, ტუტუცო!... უცხო კაცი თუ მოდის ვინმე, აქა, უკანიდგან?.....

გ ლ მ ა რ თ ლ ი ს ა.—კიბიდან?...

ს ვ ი მ ო ნ.—კაცი თუ დადის, ჰაჰიროსით?

გ უ ლ მ ა რ თ ლ ი ს ა (ნეკზედ კელს მოიჭირებს). ახლა კი გამახსენდა!...

ს ვ ი მ ო ნ.—იცნობ?.

გ უ ლ მ ა რ თ ლ ი ს ა. მაღალ-მაღალი?

ს ვ ი მ ო ნ. რავიცი მაღალია თუ დაბალი!...

გ უ ლ მ ა რ თ ლ ი ს ა.—აფიცარი?.

ს ვ ი მ ო ნ. იქნება აფიცარიც იყოს... შენ ნახე?...

გ უ ლ მ ა რ თ ლ ი ს ა.—დიახ!....

ს ვ ი მ ო ნ. სადა?....

გ უ ლ მ ა რ თ ლ ი ს ა. კიბეზედ....

ს ვ ი მ ო ნ. ხშირად დადის?

გ უ ლ მ ა რ თ ლ ი ს ა. ყოველ დღე.

ს ვ ი მ ო ნ. რა დროს?—როცა შინ არა ვარ, მაშინ?

გ უ ლ მ ა რ თ ლ ი ს ა.—დიახ, ხან-დ-ხან მაშინაც!..

ს ვ ი მ ო ნ. (თვალებზედ კელს მიიფარებს დ სკამში ჩაჯდება) ვაჲ ჩემს თვალებს!.. ჴხედავთ! ცოლმა მიღალატა, დამკლა, ორი თვის ჯვარ დაწერილმა!

გულმართლისა. (სიფრთხილით წინ წასდგება და სვიმონს) ბატონო! მაღლა ერთი მკერვალი ქალი სდგას და მგონია იქ დადის.

სვიმონ. (გულმართლისას) დამეკარგე იქით!

გულმართლისა.—ზეიდგანაც პაპიროსის წევით ჩამოდის ხოლმე, მირს.

სვიმონ. (წამოხტება) არა, აქ საიჭო აღარ არის! დილას ჩემი ქალბატონი სხვაგან წაბრძანდა, აქ ვიღაცა პაპიროსიანი დაიარება.... გულმართლისავ!

გულმართლისა. ბატონო!

სვიმონ.—დღეს, ქალბატონი სად იყო?

გულმართლისა. რა მოგახსენოთ.

სვიმონ. ხშირად დადის ხოლმე სხვაგან?

გულმართლისა.—დიახ, ხანდიხან.

სვიმონ. სად დადის ხოლმე?

გულმართლისა. რა მოგახსენოთ!

სვიმონ. რისთჳს დადის ხოლმე?

გულმართლისა. რა მოგახსენოთ!

სვიმონ. დაიკარგე იქით!

გულმართლისა. ერთხელ ვკითხე ქალბატონს, სად მიბრძანდები მეთქი და მიბრძანა: ნემსები უნდა ვიყიდოვო...

სვიმონ. (მწარის ღიმილით) ნემსებიო?.. ვიცი, რა ნემსებსაც დაეძებს!...

გულმართლისა. რასა, ბატონო?..

სვიმონ. (მრისხანეთ) არაფერსა! შენი საქმე არ

არის! დაიკარგე იქით!...

გულმართლისა. (იქით) რა აჯავრებს? წავიდე არ გამლახოს! (გავა).

---

## IV

სვიმონ. (მარტო დადის სცენაზედ, შემდეგ შესდგება და პუბლიკისკენ) ახლა კი ნათლათ ვხედავ ჩემს საქმეს.... ვხედავ, რომ ვიღუპები.... ჰხედავთ ჩემს ქალბატონს, რა საქმეები ჩაუდენია?.. ნემსებზედ რომ დატანტალებს..... ვიღაც პაპიროსიანი აფიცარი რომ დაძვრება აქა!... გუშინდელი გომბიოც რომ მე მატყუებდეს, ღმერთი რატომ არ გაიცინებს! ორი თვე არ არის, რაც ჯვარი დავიწერეთ და აღარ მოიცადა?.. ნეტავი აგრე ლამაზი მაინც არ იყოს!.. ნეტავი აგრე გაგიჟებით მაინც არ მიყვარდეს!.. ახლა მეტყვიან, რათა ხარ იჭვიანიო?—მიყვარს და იმიტომ!... ვინც მე მიყვარს, ვისაც მე ვეტრფი, ვისაც ჩემათ გამოველი, ვინც ჩემი ნუგეში და ცხოვრება არის,—არ მინდა რომ სხვას გაუზიარო, არა მსურს რომ სხვა ჰფლობდეს მას.. და თუ არ მეყვარება, მაშინ რას ვინაღვლი!.. ბებერ ხორეშანას და გადამხჩვალ დარეჯანას ვინც გინდა ეტრფოდეს, რას დავსდევ!.. არა, ცოლი კი არა, შვილიც რომ იყოს, თუ კი გულით მიყვარს, კოცნა რომ დაუწყო მეტი და გააწვალო, ისიც შემძულდება და მეწყინება!.. ახ, ერ-

თი ვიცოდე, ვინ არის ჩემი დამღუპავი, ჩემი მეუღრო-ების და სულის ალმაშფოთებელი, ჩემი გულის ქურდი, ჩემი ოჯახის გამცრცველი?!.. ვაჩვენებდი თავის თამა-შას!.. ოჰ, მაშინ სვიმონი მოკვდეს, თუ, ის, ერთი წუ-თი ვაცოცხლო და კისერი არ მოუგრიხო!... (მოავლებს სანთელს ჴელს და შუაზედ გადაამტვრევს).

---

## V

ს ვ ი მ ო ნ და ანასტასია (შემოვა მარჯვნივ კარები-დგან და სვიმონს რომ დაინახამს, შესდგება გაოცებული).

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა.—ქა! აკი სამსახურში წახველ?..

ს ვ ი მ ო ნ. (სანთლის ნატეხი ისევ ჴელში უჭირა-ვს). დიახ, მაგრამ ქაღალდები დამავიწყდა და იმისთჳს მოვბრუნდი...

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა.—სუ! ეგ სანთელი რაღა არის?.

ს ვ ი მ ო ნ.—ესა? ეს... ბიჭს მრუდეთ ჩაესვა შან-დალში, ვასწორებდი—და გატყდა!....

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. განა ბიჭი ვერ გაასწორებდა, შენ რაზე ისვრიდი ჴელებს? (შესცქერის სვიმონს ყურადღე-ბით). რამ გაგაწითლა?—სვითქი გადაგდის, თმა გაგ-წეწია, თვალები ამღვრეული გაქჳს და გიელვარებს მრი-სხანეთ!.. საშინელი სახე გაქჳს....

ს ვ ი მ ო ნ.—ჰო, ახლა შეგძაგდა ჩემი სახე? ახლა შეიქმნა შენთჳს საშინელი?..

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. (იქით) რაებს ანბობს?! (ქმარსა) სვიმონ! რატო აგრე ხარ შენი ჭირიმე?.. გენაცვალოს ტასო!..

ს ვ ი მ ო ნ. (იქით) დახე დედაკაცსა! ეშმაკის მანქანება არ არის?.. ერთი ტკბილი სიტყვა მითხრა და ჩამფუფქა!... გული დამიჩვილა და მომიბრუნა... ერთი კარგა გამოვცდი და გამოვჩხრეკ. (ცოლს) ტასო! ტასიკო! გენაცვალოს სვიმონ, ნუ გეწყინება, ერთს რასმეს გკითხამ. (სანთელს დასდებს სტოლზედ და დასხდებიან).

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. რასა შენი ჭირიმე?....

ს ვ ი მ ო ნ. შეგიძლიან სხვა შეიყვარო ვინმე?.. ისევ გიყვარვარ, თუ არა?..

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. (განცვიფრებით) მაგას რაღა კითხვა უნდა?.. განა იჭვიცა გაქვს?.. გაფთხილდი, თორემ იჭვს უბედურობა მოსდევს!.....

ს ვ ი მ ო ნ. არა, მე არ ვიჭვიანობ, მაგრამ ზოგიერთი გარემოება!...

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. რა ვიცი, აქამდინ-კი არ იყავი ჭვიანი და ახლა, თუ ღმერთი გამიწყრა....

ს ვ ი მ ო ნ. არა, ტასიკოს ჭირიმე! (პუბლიკისკენ) ისევ დამატკბო!.. დახე ევას ჩამომავლობას!. (კალთაზედ თავს დაადებს ცოლის კაბას და ჰსუნავს) ოჰ, რა თამბაქოს სუნითა ყარს! (გასწორდება და ცხვირს აცემინებს; პუბლიკისკენ) რა ახლო მოუწევია იმ ოჯახ დაქცეულს!. (კიდევ ცხვირს აცემინებს).

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. რა იყო, რა შეგიძვრა მაგ ცხვი-

რში? (ცხვირს აცემინებს).

ს ვ ი მ ო ნ.—(იქით) შენ რა . . . . , თორემ, მე არა-ფერი...

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა.—(იქით) მოდი გაუტყდები და ვე-ტყვი....

ს ვ ი მ ო ნ. ტასო! ერთი ეს მითხარ: შენ რა უფრო გიყვარს და რა უფრო გძულს?

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. მე მძულს შენი იჭვი და მიყვარს...

ს ვ ი მ ო ნ.—(გააწყვეტინებს ლაპარაკს და მსწრაფ-ლად) ვინა?! . . .

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა.—შენა! . .

ს ვ ი მ ო ნ.—მითომ? . .

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. ქა მაგას რაღა კითხვა უნდა? . შენ რაღა გიყვარს, ან რა გძულს?

ს ვ ი მ ო ნ. მიყვარს ჭეშმარიტება და მძულს თამ-ბაქოს სუნი. (იქით; ჴელით ანიშნებს ცოლზედ) უნდა კარგათ მივახვედრო. . (ცოლს) შენ რაღაცა ცუდი ქცევა შემოგპარვია? ! .

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. ვინ გიამბო? განა გაიგე? .

ს ვ ი მ ო ნ. არა, მაგრამ მიხვედრილი კი ვარ.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. რავქნა, სვიმონის ჭირიმე! რომ ვერ დავთმე!

ს ვ ი მ ო ნ. მაშ მართალია?!!

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. თუნდა ჩამქოლე ამ ჩვეულებისა-თვის! . . .

ს ვ ი მ ო ნ. (იქით) ბარაქალა! პირშიაც რომ მე-

უბნება! კაი ჩვეულება ჰქონია! (ცოლს) იქნება ჯვარის წერამდინაც ეწყობოდი?

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. არა, ღმერთმა ხომ იცის! ერთ კვირაც არის! და ჯერ იმოდენა დანაშაულიც არა მაქჳს.

ს ვ ი მ ო ნ. (იქით) ჯერ დანაშაული არა მაქჳსო!. უნდა ზომა მივიღო რამე.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. აბა, რა მექნა? შენ თითონ იფიქრე?—შენ მთელი დღე შინ არა ხარ. . მაშ დრო რითი გავატარო? გული რას გადავაყოლო?

ს ვ ი მ ო ნ. (იქით) ჰხედამთ?! რა ურცხვათ მელაპარაკება?! (ცოლს) არა! მეტი მოთმინება აღარ შემიძლიან! . წავალ, დედაშენს მოვიყვან, ყველაფერს უანბობ და შემდეგ შენ იცი და იმან! .

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. (იქით) ისკი უმანკო ჰგონია ამ საქმეში? (ქმარს) არა, სვიმონ, ისა სჯობია შენ სამსახურში წახვიდე, არ დაგიგვიანდეს. წადი სვიმონის ჭირიმე, და მე სიტყვას გაძლევ, ვეცადო, მოვსპო ჩემი ჩვეულობა შენდა სასიამოვნოთ!

ს ვ ი მ ო ნ. (პირჯვარს იწერს; პუპლიკისკენ). დიდება შენთჳს ღმერთო! . ისე გულ დინჯათ ლაპარაკობს, თითქო პაპიროსსა სწევდეს და მე კი უშლიდე!.. (ცოლს) ვიცი, ქალბატონო, რისთჳსაც გინდა, ჩემი აქედგან, მალე წასვლა!

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. (მრისხანებით) შენ, მგონია, დღეს ჭკვიდგან შესცდი!. (გავა მარცხნივ).

---

## VII

სვიმონ. (მარტო) საშინელს მდგომარეობაში ვარ! რომ აღარცა ჭკუა მალამს. ტანისამოსიც რომ თამბაქოს სუნითა ყარს! არა, სირცხვილის კარებს გადააბიჯა! მოდი და იჭვიანი ნუ იქნები. . . მაგრამ, ეხლა რა ვქნა? როგორ მოვიქცე? მინდა ჩემს ამშენებელს მოვასწრო აქა. . . ოჰ! რას უზამ, მაშინ! . მოვკლავ რაღა! არა, მოდი ერთს საქმესა ვიქ. გულმართლისამა სთქუა, აქ ყოველ დღე დადისო. მე ტასოს ვეტყვი, დღეს დიდხანს არ მოვალ-მეთქი და უცებ თავზედ დავეცემი. . მერე. . მერე. არ მოვკლამ-კი, ერთს, შენს მოწონებულს მივამტვრევ, ან გავროზგამ... როზგი მაინც მოდა არის!.. მერე ტასოს დავითხოვ თავის დედასთან და შემდეგ, ჯანდაბამდის გზა აქვს, ვისაც მე არ უყვარვარ!....

---

## VIII

სვიმონ და ანასტასია.

ანასტასია. (ქოლგა და შარფი უჭირავს ხელში. სვიმონს) ასეთი ჭექა-ქუხილია, საშინელს ავდარს აპირობს... თბილათ ჩაიცვი არ გაცივდე.... მალე წადი,

რომ გზაზედ წვიმამ არ მოგასწროს და სამსახურშიაც არ დაგვიანდე და თუ იქიდგან დაბრუნებულს მოგასწროს ავდარმა, ისევ სჯობია შეიცადო სადმე...

ს ვ ი მ ო ნ. (გამოართმევს ქოლგას და შარფს, ქოლგას კუთხეში მიაყუდებს და შარფს იხვევს კისერზედ; იქით). ვიცი, რისთჳსაც მაჩქარებს, ან რისთჳსაც უნდა რომ სხვაგან შევიცადო სადმე!.... მესმის!.. (მიდის).

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. თავს გაუფრთხილდი, ჩემო სულიკო! (სვიმონ გავა შუა კარიდგან).

---

## VIII

ანასტასია (მარტო).

აზრი აიღო... იჭვი შემოიტანა... მაშ, რა იყო რომ ჩამომეკიდა და ხან რა მითხრა და ხან რა... ვერც ნამდვილი გამიმჟღავნა... მეც რაღასა ვმალამ? რაზე ვატყუებ ქმარსა?.. მლივს არ წავიდა!. მლივს! ახლა მაინც მარტო ვარ.. (მივა კარებს დასჩხრეკამს). ყველა დაკეტილია... ახლა-კი ვემუსაიფო ჩემს მეგობარს. (ამოიღებს ქაღალდში შეხვეულს პაპიროსებს) აი, ჩემი მეგობრები! სპიჩკა რაღა იქნა? აი, აქა ყოფილა... ეხლა რომ ქმარმა მომასწროს, მგონია ფანჯრიდგან გადამისროლოს მეცა და ჩემი პაპიროსებიც. (მოუკიდებს ერთს და სწევს). ოჰ, რა გემრიელია! (იმღერის).

ჩემს ქმარს სძულს თუთუნის სუნი.
რა ნახა ამაში წუნი?
ეხლა მოდაა პაპიროსისა,
დამატკბობელი ჩუჸნის ყნოსვისა!.
ზოგს უყვარს წვრილი,
ზოგს უყვარს მსხვილი...
მე მიყვარს მოკლე, მოკლე,—
მაშ მივსწევ, თუნდა მოვკვდე!

(სწევს პაპიროსს) ოხ, რა გემრიელია! (ისმის ხმა ზარისა და კარის ბრახუნი). უი, შენ ჩემო თავო, ვიღაცა არის! (უფრო არახუნებენ კარს) ვინ არის?. (ანასტასია დგას შემკრთალი. ხელში უჭირავს პაპიროსი და სპიჩკა). .

---

## IX

ანასტასია და სვიმონ.

ს ვ ი მ ო ნ. (კარებს უკან) მე ვარ, მე!

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა (სპიჩკებს გადაისვრის). სვიმონ, შენა?. .

ს ვ ი მ ო ნ. გამიღე კარი!. .

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. რა ვქნა, ღმერთო! (აქრობს პაპიროსს) ეხლავ, ეხლავ! . (იქით) სად დავმალო?

ს ვ ი მ ო ნ. გააღეთ, ჩქარა! . .

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. (ჯიბეში იდებს ჰაპიროსსა) მოვდი-ვარ, მო!...

ს ვ ი მ ო ნ. (აბრახუნებს კარს, რაც მალი დ ღონე აქუს) არ გააღებ?!..

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. (უღებს კარს) რა დაგემართა?. ვერ მოითმე?!.

ს ვ ი მ ო ნ. (აქეთ იქით იყურება) რას შვრებოდი იქა? (ჰსუნთქავს) ოჰ, რა სუნია! ყარს აქაურობა!...

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. რას ვშვრებოდი? მურაბის მოხარ-შვას ვაპირობდი.

ს ვ ი მ ო ნ. რა იქნა? (შევა მეორე ოთახში).

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. (განცვიფრებული) რა დამართნია?

ს ვ ი მ ო ნ. (გამოვა მეორე ოთახიდგან) რა იქნა?.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. რას ეძებ, ემაწვილო?

ს ვ ი მ ო ნ. (იქით) ვერ მოვასწარ!.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. რას ეძებ?!

ს ვ ი მ ო ნ. კიდეცა მკითხამ? რა იქნა ქოლგა?.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. ქა! მეც არა ვსთქვი რას ეძებს მეთქი?! მე რა ვიცი, შენ არა გქონდა?!.

ს ვ ი მ ო ნ. (მიიხედავს კუთხისკენ) აი, სადა ყოფი-ლა (წამოავლებს ქოლგას ჴელსა დ მიდის). დღეს ვი-ღასაც მეხი დაეცემა თავზედ!. (გავა).

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. საწყალი, ჩემი სვიმონ! დაუგვიანდა სამსახურში დ იმაზე ჯავრობდა (კარებსა ჰკეტავს დ და-ჯდება).

---

## X.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. (მარტო.—ამოიღებს ჰაპიროსს დ სჰიჩკას, მოუკიდებს დ სწევს). რა რიგათ შემაშინა!... რომ დაენახა, როცა ვსწევდი, რას იქმოდა? მგონია შემჭამდა?

(იმღერის)

მე მიყვარს მოკლე, მოკლე!..
მაშ მოვწევ თუნდა მოვკუდე!..

(სწევს) იფ, რა კარგია! უცხოა! ჩაჯექ დ იყავ განცხრომაში! ნეტავი გრგოლების გაშვება ვიცოდე! კაცები რომ გრგოლებს გააკეთებენ ხოლმე... უნდა დახუჭოს ადამიანმა თვალები დ ჩაფიქრდეს (თვალებს დაჭხუჭავს დ თავს უკან გადააგდებს) მთელი დღე რომ ასე ვიყო, არას ვინაღვლიდი..

---

## XI

ს ვ ი მ ო ნ. (ფანჯრიდგან შემოიხედამს დ შემოდის). ახლა მაინც მოგასწარით!.. სად წამიხვალთ? ჰა?! რა კომლია დ?

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. (თვალებს გაახელს დ ქმარს რომ დაინახამს) უი! (წამოხტება დ გაქცევას აპირებს).

ს ვ ი მ ო ნ.—აქ მოიცა, ქალბატონო! . სად მიბრძანდებით?..

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. (პაპიროსს ჰმალამს ზურგს უკან). რა ამბავია?!. ქა! ფანჯრიდგან შემოხველ? . .

ს ვ ი მ ო ნ. დიახ! მაშ როგორ გეგონა? შენთჳს მეცლია რომ დაგემალა?. რა უყავ? სად არის?

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. (იქით) დავიღუპე!. რა უყო ამ პაპიროსს! . .

ს ვ ი მ ო ნ.—სად გააპარე? საით გაიქცა, ის, ჩემი დამღუპავი? .

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. რა? ვინა? . რას ანბობ?.

ს ვ ი მ ო ნ. შე უბედურო! . . მითხარ! მითხარ! (რომ დაინახამს, რაღასაც რომ ჰმალამს) ეგ რა არის?—მაჩვენე აქა. .

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. (უკან უკან მიდის მეორე ოთახისკენ[redacted] რა გიჩვენო ქა?! .

ს ვ ი მ ო ნ. არა, აქ მობრძანდი, სად მიიპარები? . [redacted]ჴელს სტაცებს ჴელში, და პაპიროსს ართმევს) ეს რა არის, ჰა?! . .

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. (იქით) ღმერთო ჩემო! დავიღუპე! [redacted]სვიმონს) დამეხსენ, გამიშვი! . .

ს ვ ი მ ო ნ. პ ა . . პ ი . . რ ო . . ს ი ? ! .

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. (დაიჩოქებს) სვიმონ! სვიმონ! მაპატივე, სვიმონის ჭირიმე! . დანაშაული ვარ შენთან!. ეგ არის ჩემი დანაშაული, ჩემი ჩვეულება! დღეს მაგის სასყიდლათ ვიყავ და ნემსები ტყუილათ მოვიგონე. .ეხ-

ლა მოდაა ყველა ქალები ეწყობიან პაპიროსს, მეც ვსცადე, შევეჩვიე, შემიყვარდა და რადგან შენ კი გძულდა, ამისთჳს გიმალავდი.. მაპატივე, თუ გიყვარვარ და ვეცდები დავივიწყო, აღარ მოვწიო, გადავეჩვიო.. (ამოიღებს ჯიბიდგან სხვა პაპიროსებსაც და უჩვენებს).

ს ვ ი მ ო ნ. (განცვიფრებული) პაპიროსსა სწევს?!, მაშ მეტი არა ფერი?..

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. მეტი რაღა?.

ს ვ ი მ ო ნ. (ცოლს წამოაყენებს და თჳთონ დაიჩოქებს) შენ კი არა, მე ვარ დამნაშავე შენთან, რომ იჭვი შემომქონდა შენზედ!.. მეგონა რომ აქ ვიღაცა დადიოდა და თამბაქოს სუნი იმიტომ მეგონა სახლში და შენც თუთუნის სუნი გიდიოდა... მაპატივე, შენი ჭირიმე!..

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. მართლა?!. უწინამც დღე დაელევა შენს ტასოს, რომ, შენ იმან არ გიღალატოს!.. ადე, კარგია! რა საკადრისია იჭვი, ან დაჩოქება?.. მაშ თუ გწყინს, აღარ მოვწევ პაპიროსებს!..

ს ვ ი მ ო ნ. თუ კი გიამება, მოსწი, რამდენიც გინდოდეს! ერთად მოვსწიოთ!.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. (მხიარულათ) მართლა? . . . . .

(დასხდებიან).

## XII

იგინივე და გულმართლისა.

გულმართლისა. (სვიმონს) ბატონო! ის აფიცარი, მე რომ მოგახსენეთ, ეხლა ჩამოდის ზეიდგან. . მკერვალი ქალიდგან. . თუ გნებავთ დაუძახებ?. ახლა ნამდვილათ შევიტყე რომ იქ დადის.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. ვინ აფიცარი?

ს ვ ი მ ო ნ. არავინ. . (გულმართლისას). დამეკარგე იქით! (გოგო გაბრუნდება) მოიცა!. მიდი, ემანდ, ჩუჩნი მეზობლისას და სთხოვე, ცოტა თამბაქო და ჩიბუხი გვათხოვოს; ჩქარა!. უთხარი, სტუმრები ჰყვანანთქო! (გოგო გავა).

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. ჩიბუხი რათ გინდა? აკი გძულდა თამბაქო?! . .

ს ვ ი მ ო ნ. რაოდენათაც მძულდა, ეხლა ორი იმოდნათ შემიყვარდა. (გულმართლისას შემოაქვს ჩიბუხები, სვიმონ ჩაჰყრის თამბაქოს ჩიბუხში, გოგოს ეტყვის ქაღალდს სამთელი მოუკიდოს და სწევს, ხან ერთს და ხან მეორე ჩიბუხს; ანასტასიაც პაპიროსსა სწევს.)

ს ვ ი მ ო ნ. (გულმართლისას) აჰა, შენც მოსწიე!

გულმართლისა.—უი, ქა! რა პასუხია!

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. ახლა კი თავისუფლათ მოვწევ! . . იჶ, რა კარგია!..

ს ვ ი მ ო ნ.—ცხოვრებაა, ცხოვრება! (ფარდა დაეშვება).

# ბულბული

როს აღვსდეგ დილით და გაველ გარე,
ბულბული ვნახე ვარდზედ მჯდომარე;
—თვისის ტკბილის ხმით დასჭიკჭიკებდა,
ვარდის კოკორის გაშლა უნებდა?—

რა რომ შევხედე ბულბულს მშჳჱნიერს
ტკბილი გალობით ვარდზედ მხმობიერს,
ფიცხლავ უკუ ვსდეგ არ დავენახე,
არცა სხვა პირი მას დავანახვე.—

დიდ ხანს ვისმინე მისი გალობა;
კიდეც ვიხილე მისი მთვრალობა.
უცებ შესწყვიტა ხმა გალობისა
და იწყო კვნესა, საწყალობისა.

მე დამალული ვამბობ, რა არის?
რატომ გაჩუმდა იგი მსტვინვარე;
გალობის ნაცვლად, კვნესის ხმა არის,
გაველ მის ნახვად ვნახე მძინარე.

მან დამაფიქრა ამაობაზედ,
და სიმდიდრისთჳს ზრუნვაობაზედ.
კაცი სიმდიდრეს ცდილობს და შოვობს,
მაგრამ ბოლოს დროს ვეღარა ხმარობს.—

ზოგი კაცია, სურს რომ იშრომოს,
შრომით სიმდიდრე მან მოიპოვოს.
იშოვნის მრავალს, ხარჯვა არა სურს,
სჭამს სიბერემდის, კვნეტით გამხმარს პურს.

როცა ურჩევენ მოხმარებასა,
პასუხად აგებს ხნიერებასა.
იმ სიბერის დროს სიკჳდილს იზრახებს,
უცებ სიკჳდილიც, მას დაუმახებს.

სიკჳდილის შემდგომ, თჳსი ქონება,
შჳლებს დარჩებათ. რომ არ ენება
თჳთ მოხმარება თავის თავზედა,
ბოლოს შჳლებიც ხარჯვენ სმაზედა.

წითელსა ღვინოს ქეიფებითა,
თჳსთა ტოლებთან სმენ, ჯიხვებითა.
ტაშის-ცემითა ყველანი ხმობენ
და სიხარულით ამას ამბობენ:
,,არავინა გვყავს ვალის მომთხოვნე

„ამის მომკები, (*) ღმერთო აცხონე.—

იოსებ ქაჩუხა შვილი.

12 მარტს 1868 წელსა.

ქ. ახალციხე.

---

# ნამდიდრევის მოგონება

განქრა განიბნა დროჲ მნათობი, ყოველთ სანატრი,
წარხდა ყველა, რაიც რომ მქონდა, საზრდო მეტადრე.
არა ვყოფილვარ არაოდესმე რისმე მონატრე,
აწ ვარ უმწეოდ, ლუკმა პურისა, ვარ მე მონატრე.

მე ვიყავ შობით, სიმდიდრეში, ნაზად აღზრდილი;
ვსცხოვრებდი მდიდრად, ყოველ-დღე მქონდა ლხინის სადილი,
ლხინისთჳს მოსვლად, თანა-მოძმეთა ჰქონდათ წადილი;
ვაჲ როცა მოვსწყდი, ჩემს ცხოვრებასა მიწყევს ქადილი.

ოდეს ვხარჯამდი და ვფანტამდი, უზომოთ ფულებს,
მაშინ ყოველნი წარჩინებულნი, არ ზოგდნენ პატივს
ახლა რომ არ მაქუს დღიური საზრდო და მათ ვსთხოვ ფულსა,

---

(*) ჴელში ღვინით სავსე სტაქნის დაჭერით.

სადაც შევხვდები, იგინი ფიცხლავს მარიდენ თავსა.

არ ვსწუხდებოდი, არა ვფიქრობდი მომავალს დროსა,
სულ არ მეგონა, თუ შევესწროდი, ამ შავსა დღესა.
როს ბევრი მქონდა, ყველა მიწოდდა ბრძენსა ჭკვიანსა,
ახლა კი ყველა გიჟად მიწოდებს მე ბედ სვიანსა.

განქრა ქონება, წარხდა სულყველა საკელიც მასთან,
გამშორდნენ ყველა: თანა მოძმენიც, ძ მკვიდრი ძმაც თან.
სადხარ ქონებავ, სად ხარ დროებავ ტკბილო, თაფლი-
ვით,
რომ გეხვეოდნენ: მტერი, მოყვარე, მშიერ ბუზივით.—

იოსებ ქაჩუხა შჳლი.

5 მაისს 1870-სა წელსა.
ქ. ახალციხე.—

## პროსპერ ფარინჩიო.

## თავი XXI

გამოვიდოდა რა სუდიდგან პრეზიდენტი ლუჩიანი, წავიდოდა კარდინალთან სანდქორქიოსთან, რომელიც იყო პაპისა თანაშემწე, და მოახსენებდა მის მაღალ კურთხევას, რომ არა ერთმა სასჯელისაგანმან ვერ გამოტეხა გაუგონარი ბეატრიჩე, თავის დამნაშაობაში:

—რაც საშუალება იყო ყოვლის-ფერი დავლიეთ და არ იქმნა მისი გამოტეხა.

—როგორ! თუ სასჯელით ვერასფერი შეასმინეთ, მოფერვითა შეიძლებოდა იმისი გამოტეხა.

—აკი მოგახსენეთ, თქუენო მაღალ კურთხევავ! რომ ვერაგზით ვერასფერი გავარიგეთ, მისთა ძმებმან და დედის-ნაცვალმან ისთევეთ უარს ჰყვეს მისი შეხედვით თავისნი ჩვენებანი. კარდინალსა გული მოუვიდოდა ლუჩიანზედა, რომ ვერასფერი გაარიგა. ამ დროს კარდინალთან შემოვიდოდა პრასპერო ფარანჩიო, რომელსაც უნდოდა მოხმარევად ჩენჩებისა, და უნდოდა რომ ყოფილიყო ადვაკატათ იმათთჳს, სუდიებისა წინაშე, და სთხოვდა კარდინალსა, რათა მიეცა მას ნება მისთჳს, მო-

ხმარვად ტყვეებისათჳს, რადგანაც ისინი დამნაშავენი არ იყვნენ დ̃ა არც გამოცდილნი მიგებად პასუხისა სუდიებისათჳს დ̃ ამასთანავეც ეტყოდა კარდინალსა, რომ თუმცა დამნაშავენი იქმნებიან საწყალნი ჩენჩნი, გასტეხავს მათ. კარდინალი თუმცა უარ ჰყოფდა თხოვნასა ფრანჩიოსა, მაგრამ მერმეთ მისცემდა ნებასა ყოფნათ ადვაკატათ მათთათჳს.

---

ეხლა ჩუჱნა ვსთქუჱათ, რისთჳს მივიდა ფარანჩიო შესახვეწნათ კარდინალისთჳს, მიცემად მისდა ნებისა ადვაკატობისა? აი როგორ იყო:

ერთს საღამოს ადვაკატი ფარანჩიო იჯდა თავის კაბინეთშია დ̃ ამ დროს კარი მისი კაბინეთისა გაიღებოდა დ̃ შემოვიდოდა მასთან მენახშირე, რომელიც დაუკრამდა თავსა ადვაკატსა ფარანჩიოს დ̃ გაჩერდებოდა კუთხეში.—ფარანჩიო მიიღებდა მენახშირესა პატივის ცემითა.—რამოდენიმე დროებისა შემდეგ; მენახშირე მოახსენებდა ადვოკატსა:

—უფალო ადვოკატო, არა გაგეგეგებათრა თქუჱნ რაიმე საწყალთ ჩენჩებზედა, რომელნიც არიან დატუსაღებულნი?

—მათი საქმე ცუდათ არის, მიუგო ადვოკატმან, მე გავიგე რომ თუმცა ისინი დამნაშავენი არ არიან ამა საქმეში, რომლისა გამო ისჯებიან მაგრამ მათი სიკუდილი დიდხანს არს გარდაწყვეტილი პაპისაგან, რამე-

თუ პაპას, სურს, რომ ჩენჩების სიმდიდრე დარჩეს მას საეკლესიოდ.

—თუმც რომ ასრე არს უფალო ადვოკატო, რისთჳს არ მოეხმარებით საწყალთა მართალთა სულთა, რომელნიც იღუპებიან უბრალოთ.

—ერთი მიბრძანეთ, თქუენ ვინა ბრძანდებით ეტყოდა ადვოკატი მენახშირესა.

—ჩემი სახელი რა საჭირო არს თქუენთჳსა, მე გევედრები თქუენა, რომ თქუენ შეგტკივდეთ გული მათზედა, რათა ისინი დამნაშავენი არ არიან ამა საქმეში.

—თქუენ რა იცით, რომ ისინი დამნაშავენი არ არიან გრაფისა ფრანჩესკოს მოკულაში.

—მე! მე გარწმუნებთ თქუენა პატიოსან სიტყჳთ, რომ ისინი დამნაშავენი არ არიან ამაში, თვინიერ ჩემისა, რომელმანცა მოვკალ ფრანჩესკო ჩემის საყვარელის-გულისათჳს.

ფარანჩიო ადვოკატი გაჯავრდებოდა სიტყვებითა მენახშირესი და იფიქრებდა: ვინ უნდა იყოს ეს კაცი?

—გთხოვთ მიბრძანოთ: ვინ ბრძანდებით თქუენა და ვისთან მაქუს მე ბედნიერება, ბაასობისა?

—უფალო ადვოკატო! რადგანაც გნებავთ შეიტყოთ ჩემი სახელი, მე ვიყავ როდისმე გვიდო, რომელიც მოჰკლამდა ფრანჩესკოსა თავის საყვარელ ბეატრიჩესათჳს. და აქ გვიდო მოუყვება ამბავსა, თავის სიყვარულობაზედა ადვოკატსა.

—ახ! თქუენ გვიდო ბრძანდებით! მერწმუნეთ ველარ

გიცანი, და ჩამოართმევდა ადვოკატი გვიდოსა სიყვარულობით ხელსა.

—მაშ კარგი ვეცდები აღსრულებად თქვენის სურვილისა.

ამ დროს წაიძრობდა ბეჭედსა გვიდო და ეტყოდა ფარანჩიოსა:

—ეს ბეჭედი წაუღეთ ჩემს მშვენიერს ბეატრიჩესა, რომელიც არის წერტილი ჩემისა სიცოცხლისა და ამ ბეჭდისა ძალით ბეატრიჩე დაგეთანხმებათ თქვენ ყოვლისფერში, როგორათაც თქვენ იმას ურჩევთ.

—კარგი, კარგი, იყავით მოიმედე რომ ვეცდები რაც ღონე და ძალა მექმნება დახსნათ მისთა.

წავიდოდა რა გვიდო, დარჩებოდა მარტოკა ფარანჩიო და დაიწყებდა აზრების მოგონებასა, თუ რა აზრი სჯობს და რა საგანი აღირჩიოს, რომელიც იყოს მოსახმარისი ტუსაღებისათვს, და ამ დროს აღმოარჩევდა ფარანჩიო ერთსა აზრსა და მას ზედა დარწმუნდებოდა, რომელშიაც შევიტყობთ, და იმ აზრით უფრო დაარღვევს საქმესა და არა გაამთელებს, რადგანაც ფარანჩიოს ეგონა თუ კარგი აზრი იყო, რომლითაც უნდა მოხმარრება თავის ამხანაგებითა, საწყალთა იმა ტყვეთა.—

მსხვერპლი.

## თავი XXII

საწყალი ბეატრიჩე იწვა თავის ოთახში დაღონებული, თუმცა ბეატრიჩე იყო განუზომელ მწუხარებაში მაგრამ ღრმა გულის მწუხარება მისი უმჯობესად მისცემდა მას, განუზომელსა ჯავრსა და ფიქრსა, თავის საყვარელ გვიდოზედ, რომელსაც სშორდებოდა საუკუნოდ ამ ქჳყენიერად და ამისათჳს ანბობდა თავისთჳს ბეატრიჩე:

—გვიდო, აწ მე ვერსად მომესმარები მე, მარჯვენა ფერხი ჩემი არს ჩამდგარი ჩემსა საფლავში, ღმერთი მაპატივებს მე ჩემთა ცოდვათა, ჩემის მწუხარებისა გამო, რომელსაცა ვარ მიცემული ჩემის სიმართლისა გამო; მაგრამ აპატივებს ღმერთი ჩემს გვიდოსა?... რისთჳს არ აპატივებს უფალი იმასაც თუმცა რომ ის შეინანებს თავის ცოდვას.... მაგრამ გვიდო არ შეინანვის თავის ცოდვათა!... ის მზათ არის, მე ვიცი, კულმეორეთა მოკვლად ვისმესი ჩემის მწუხარებისათჳს; ეს მე მართლად ვიცი ამისათჳს, რომ თუმც გვიდო ასრე არ იქმს, და ეს არ ჴქონდეს მას გულში, მე იმას არ ვეყვარებოდი; მისსა ადგილზედ მეც აგრე ვიქმოდი... ოო! უბედურო, უბედურო ჩემო თავო, რას ანბობ მაგასა, ღმერთო! და-

მიხსენი მე ჩემი გვიდო თავისი ცოდვისაგანა, და იმ სოფლიერად მაინც მაჩვენე მე მისი თავი რათა სამოთხეში ჩამოვართმევდე მე მას კელსა,-კელსა, ჩემ გვიდოსა,... ოხ! ღმერთო, რა მწუხარებაში ვარ, და რასა ჰფიქრობს ჩემი დაღრემილი გული, ნეტავი ვინმე წმინდათაგანნი გამომეცხადებოდეს მე და დამიხსნიდეს ამა მწუხარებისაგანა? . . . . .

—ბატონო ბეატრიჩე! დაუძახებდა ამ დროს ვირგინი, უფალსა ადვოკატსა პასპერო ფარანჩიოსა ჰსურს მოლაპარაკება თქუჱნთანა.

—ჩემთან? მე რა საქმე მაქუს ადვოკატთანა? მე იმას ვერ ვიცნობ! მაგრამ შემოიყვანე!

ფარანჩიო, შემოვა ბეატრიჩის ოთახში და გაშტერდება მშუჱნიერებისაგან ბეატრიჩისა, თუმცა ბეატრიჩე იყო გამხდარი უღმრთო წვალებისა გამო, მაგრამ ემსგავსებოდა ზეცისაგან ჩამომავალს ანგელოზსა.

—რა გნებავთ თქუჱნ ჩემგანა? ეტყოდა ბეატრიჩე ადვოკატსა.

—კეთილშობილო ქალო! მიუგო ადვოკატმან, მე მოვედი თქუჱნთან, რათა გიშველოთ თქუჱნ, რამეთუ ვარ გამოგზავნილი იმისგან, ვინცა რომ შავის ცრემლითა სტირის თქუჱნთჳსა, იმისგან, რომელიც თქუჱნ გიყვარსთ. ეხლა მე მგონია გულმან თქუჱნმან გიაზროთ თქუჱნ, ვისგან ვარ მე გამოგზავნილი საშველებლად თქუჱნდა.

—ისა?. . .ახ!!! განა ისა სტირის?

—სტირს, და კიდევაც მოიკლამს თავსა, თუმცა, რომ არ დამეთანახმებით მე ჩემს აზრშია, რომელიც იქმნება საგანი შველებისა თქვენისა, რომ თქვენ დამეთანხმოთ მე, მან მომცა ეს ბეჭედი გარდმოცემად თქვენდა.

ბეატრიჩე აიღებდა ხელში ბეჭედსა და არ მოაცილე-ბდა მისგან თვალსა და იტყოდა:

—და ის გამოგიტყდათ თქვენ ყველაფერშია?

—გამომიტყდა.

—როგორც იყო ისრე გამოგიტყდათ?

ფარანჩი დაღუნამდა თავსა, რა პასუხსა ნიშნამდა.

—მაშ რას იტყვით თქვენ ამაზედ?

ფარანჩიო დაუწყებდა ამბავსა პაპისასა და სუდიებისასა, როგორათაც ჩვენ ვიცით და მერმეთ ასრე ეტყოდა:

—მე ბევრი ვიფიქრე და ბოლოს ასრე გავსაჯე, რომ თქვენ და თქვენთა ჭირისუფალთა, უნდა აჩვენონ, რომ ვითომც თქვენ მარტოკა მოგიკლამთ მამა თქვენი, ამის მეტი ვერა გიშველისრა.

იტყოდა რა ამასა ადვოკატი, ბეატრიჩეს ეგონებოდა, რომ ან თვითონ და ან უფალი ადვოკატი ჭკვიდამ და აზრიდამ გამოსრული არის, და ეს რჩევა ეჩვენებოდა ბე-ატრიჩესა სულელ ხუმრობათა, მაგრაი ადვოკატი შეი-ტყობდა რა გამოცვლილობასა პირის სახეზედ მისსა, მიუმატებდა:

—მე მესმის და კიდევაცა გავიგე, რომ რჩევა ჩემი გეჩვენებათ თქვენ საშინლად, მაგრამ მე თქვენ აღგი-ხსნით ჩემს აზრსა თუ რა საჭირო იქმნება თქვენთვისა.——

—როგორ, რას ამბობთ მაგასა უფალო ადვაკატო! ამტყელ ხანს მივეცი თავი ჩემი განუზომელ წვალებასა, მისთჳს რომ არ მინდოდა დამემდაბლა საკელი ჩემი ამ გვარ უსჯულოებითა და ესლა ამტყელი ხნის ნაწვალებმან ქალმან, ტყუილათ უბრალოთ ჩემის ნებით უნდა გავსვა-რო უმანკო საკელი ჩემი ამ უსჯულოებითა, რომელში-აც დამნაშავი არა ვარ, და ჩემის კელით უნდა მოვსჭრა მე თავი ჩემთა ნათესავთა.

—კეთილშობილო ქალო მოისმინეთ აზრი ჩემი, თუ რა რიგათ გეჩვენებათ თქუენა? თქუენის გამოტყეხილ-ობით თქუენს თავს ვერ უშველით და ვერცა თქუენ ჭი-რისუფალთა და ვერც თქუენს საყვარელ გვიდოსა, რო-მელმანც გამომგზავნა მე საშველებლათა თქუენდა, მი-იღეთ რჩევა ჩემი და მომყევით მე, თორემ ამ სუდიების ხასიათი არის ამგვარი, რომ ვინც არ აღასრულებს მათ ნებასა, მისცემენ სიკუდილამდე სასჯელსა.

—ამინ! მე ბევრი მაწვალეს და მაქუს იმედი რომ კიდევ კელმეორე წვალებაში სიმართლით გავნთავისუფ-ლდები სიკუდილით,—არა, სიკუდილი ძნელი არ არის, როგორც ხალხსა ჰგონია, მე მიახლოებული ვარ კა-რთა მხიარულებისასა, მე არ მეშინიან სიკუდილისგან.

—არა, სიკუდილი ჯერ თქუენი საქმე არ არის, ე-გეც მოიხსენეთ რომ მალათ სიკუდილი თავის თავისა, თუმც რომ შეიძლება შველება მისგან, საშინელი ცოდვა არს და ამისათჳს თქუენც შეგიძლიანთ უსიკუდილოთ გაიმართლოთ თავი თქუენი.

—და მე დავიჯერო თქჳენი სიტყვები? და მე აღვირჩიო სიცოცხლე? რომ ყოველთა ქმინოდეთ ჩემი შეხედვა? და ყოველმან კაცმან წარიკითხოს ჩემს შუბლზედა, სიტყჳანი—«მამის მკვლელი»?—ამ გვარი სიცოცხლე უნდა ვინატრო? არა, ჩემთჳს უმჯობესი იქმნება, რომ გავშორდე ამ ქჳეყნიერებასა, რომ ყოველთა სულდგმულთაგანმან დაივიწყონ სახელი ჩემი.

—როგორ თუ თქჳენ ჰფიქრობთ, რომ ყოველთა შეზარდებით? და არა ყველას შეუყვარდებით, რომ თხუთმეტის წლის ქალმა დაიცვა თავის ქალწულობა უწმინდურ სიყჳარულობისაგან . . . . . . . . , და ყოველნი სულდგმულნი ნახვენ თქჳენში დამცველსა რომის ქალიშვილობისა—და ფარანჩიო ბევრს ამგვარს სიტყვებს ეტყოდა ბეატრიჩესა.—

მერმეთ ეტყოდა ბეატრიჩე:

—უფალო ადვოკატო! მე ვიცი, რომ თქჳენის მხრით არ მოხდება სიმართლე.

და ამ დროს კარი საპყრობილესი გაიღებოდა და შემოვიდოდნენ, გათავებულნი მწუხარებისაგან ბეატრიჩესნი ჭირისუფალნი.—შემოვიდოდნენ რა ისინი ერთი იმათგანი ხმას ვერ ამოიღებდა და ჴელთ დაკრეფითა და უენოთ ევედრებოდნენ ბეატრიჩესა შესმენად რჩევისა ფარანჩიოისა. დაჭლია რა თვისი მშჳენიერი შესხმა გაჩერდებოდა.—ამ დროს ბეატრიჩე არღიღებდა ჯვარსა, რომელიც ეკიდა სასთუნალსა და ეტყოდა ფარანჩიოსა:

—თუმცა გნებავთ, რომ მიიღოთ ნებაჲ ჩემი, ამა

რჩევისა, კარგი იყოს, როგორც თქუენ ბრძანეთ ისრე; შენ უფალო იყავ მოწამე ამისა (და აკოცებდა ჯვარსა) თუმცა მე ვირჯებოდე ამაში ცუდათა მომიტევე მე. მერეთ მიუბრუნდებოდა და ეტყოდა თავის ჭირისუფალთა: მე ვსდებ თავსა ჩემსა სხვერპლად თქუენის შჳლებისათჳს და ჩემს თავზედა ვიდებ დამნაშაობასა ამა საქმისასა, რადგანაც არა მსურს მე რომ, საფლავთა თქუენთა ზედა იქმნესთ დაწერილნი—«აქ არიან მდებარენი ცოლშვილნი ფარანჩესკოსი, რომელნიც იყვნენ დასჯილნი მკვლელობისათჳს»—მე არა მსურს წაგართვათ თქუენ იმედი საშველისა, რათა ვლოცავ უფალსა, ჩემმა მსხვერპლმა გიშველოს თქუენ.

იმ მინუტში, როდესაც რომ ბეატრიჩე იტყოდა ამ სიტყვებსა, ქარი გააღებდა ფანჯარასა, რომელიც იყო დახურული სუსტათა, და გააქრობდა სანთელსა ხატის წინეთა და ყველა იქ მყოფნი განკვირდებოდნენ ამითა და ყველა იგრძნობდა, რომ ესე სანთელისა გაქრობა მოასწავებდა უბედურებასა საწინაოთ, მარტო ბეატრიჩე დარჩებოდა მშვიდობიანათ და იტყოდა რამოდენიმე სიტყვებსა ლექსითა:

«როგორც რომ ალი გამქრალი განძლიერებულ ქარითა
«სულიცა ჩემი გაფრინდეს ანგელოზისა კელითა.

იტყოდა რა ამასა ბეატრიჩე, ყველანი დაიწყებდნენ ტირილსა და ფარანჩიო გამოვიდოდა გარეთა და განუცხადებდა პრეზიდენტს ლუჩიანსა დანიშვნად სუდისა, რამეთუ ტყვე- ბეატრიჩე გამოტყდა, მამის კვლაში, რათა

მარტო ბეატრიჩე ყოფილა დამნაშავი და არა მათი ჭი-
რისუფალნი. . ლუჩიანი განკვირდებოდა ფარანჩიოს ოსტატობითა, რომელსაც ეგონა, რომ მარტო ფარანჩიო იყო გამომტეხი ბეატრიჩესი.—როდესაც ბეატრიჩეს დაუწყებდნენ კითხვასა: სად იშოვა მან დანა მოსაკლავათ მამისა, ბეატრიჩე დაიბნევოდა, რამეთუ არ იცოდა როგორ ეგო პასუხი სუდიებისათჳს, რამეთუ დამნაშავი არ იყო, და ბეატრიჩე მიუგებდა, რომ ვითომც დანა იმას მოუცილებლათ ჰქონდა მამის მოსაკლავათ.——ფარანჩიო იყო დაიმედებული, რომ ბეატრიჩეს გამოტეხითა ის იშოვის საშვალებასა, რათა გაამართლოს ბეატრიჩე.—

---

## სუდი

## თავი XXIII

დიდის სუდის ზალაში, მაღლა ტახტზედ იდგა ბალდახინი, შემკობილი ლალის ხავერდითა და მძვირფასის ქვებითა, სადაც იჯდა პაპა, მოადგილე იესო ქრისტესი, და ჴემწიფე რომისა, დაბლად ბალდახინისა ჴელის სკამებზედ ისხდნენ შვიდნი კარდინალნი, თანაშემწენი პაპისა, დაბლად კარდინალებისა კიდევ ჴელის სკამებზედ ისხდნენ პრელატები, რომელნიც იყვნენ თანაშემწენი კარდინალებისა და მათ დაბლად შუა ზალაში პრეზიდენტი

ლუჩიანი და მისი მწევრნი, გვერდით მათსა დიდის სტოლის თავში იჯდა გენერალნის პროკურორი, მეორე თავში ნატარიუსნი კანცელარიის მოწყობილობითა და ბოლოს მათ შავს სტოლზედ ისხდნენ ადვოკატნი დამნაშავებისა; ანჯელი, ანტლი და ფარანჩიო. კუთხეში რკინის რეშოტკაში იყვნენ საწყალი ბეატრიჩე და მისი ჭირისუფალნი.—კარებში და კიბეებზედ იდგნენ შვეიცარნი წითელის ტანისამოსითა, რომელნიც არ უშვებდნენ უბრალო ხალხთა ზალაში.—

როდესაც ყველანი დასხდებოდნენ თავ-თავიანთ ალაგზედა, პრეზიდენტი ლუჩიანი პაპის ბრძანებითა უბრძანებდა გენერალნის პროკურორსა დაწყებად საქმისა.—პროკურორი წამოდგებოდა თჳსის ალაგიდამ და დაიწყებდა ქებასა ფრანჩესკოსასა და მისთვლიდა იმასა ღმრთის მოყვარე კაცად და გამოიყვანდა დამნაშავეთა მისთა ცოლშვილთა, რომელთაც მოჰკლეს ისა თავიანთ ჴელითა და დაათავებდა თავის სიტყვებსა საღმრთო წერილის სიტყვებითა: «უნაყოფო ხე მოიკვეთების და დაიწვების,» ამისათჳს ცოლშვილნი ფრანჩესკოსი, თავიანთ ყოფაქცევითა ფრანჩესკოსაზედა ღირსნი არიან დასჯისა.—

მერმეთ დაიწყებდნენ ადვოკატნი ანჯელი და ალტერი, რომელნიც ეხუმრებოდნენ ლუკრეციასა, და ძმებთა ბეატრიჩესი, და დაიწყებდნენ განმართლებასა მათთა.

მას უკან გადავიდოდა საქმე ბეატრიჩისა ადვაკატზედა ფარანჩიოზედა.

ფარანჩიო წამოდგებოდა, გარდიგდებდა თმასა გვერ-

დითა დ შეხედამდა გახელებულ თვალებითა გენერალნის პროკურორსა დ დაიწყებდა:

—უფალო პროკურორო! თქუენ გაბედეთ აღმოსთქმად ქებაი ფრანჩესკოსი, ვითომც ის ყოფილიყო კაცი გამოგზავნილი ღუთისაგან, თჳსი კეთილ მოქმედებისაგამო, ვითომც ის ყოფილა კაცი, კეთილი ღუთის მოყვარე, ტაძართ მშენებელი დ უმანკო. ახ! რა ტყუილი ქება არს! თქუენ გამოიყვანეთ ფრანჩესკო ღუთის მოყვარეთ, კარგი, რისთჳს ყიდულობდა ფრანჩესკო ხატებსა? სალოცავათ? არა, ის უღმრთო დ ბოროტი კაცი დასცინოდა იმათ დ სთვლიდა თავსა თჳსსა უფროსათ მისთა.—კიდევ რისთჳს აშენებდა ფრანჩესკო ტაძართა? სალოცავათ? არა, მისთჳს, რომ გეეწმინდურებინა ისინი; მისთჳს რომ გაემზადა მათში კუბონი თავის შვილებისათჳს, : . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
.—კიდევ თქუენ ბრძანეთ, რომ ფრანჩესკო კეთილი კაცი იყო! არა, ის იყო გარყვნილი, ბოროტი დ უწმინდური კაცი; როდისაც შაიტყო მან თავის შვილების სიკუდილი იმ დღესა ფსონი გააკეთა დ ფსონის დროს წარმოსთქვამდა: ღვინო რომ სისხლი ყოფილიყო თავის შვილებისა, უმეტეს გემრიელათ დაჭლევდა; მე თუ არ დამიჯერებთ ამასა, ჰკითხეთ უფალთ პრელატებსა დ გრაფებსა, რომელნიც იყვნენ დაპატიჟებულნი მასთან; თუ ესე ჩემნი სიტყუანი ტყუილნი იყვნენ, მოვიდეს მისი ლანდი ჩემთან დ მითხრას მე «შენ სტყუი. . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ჩუ̂ენ ვხედამთ სხეულსა კისერ მოჭრილსა. ვისი არს ესე სხეული? ფრანჩესკოსი. ვინ მოჰკლა ფრანჩესკო? მკვიდრმან მისმან ქალიშვილმან. ვინ არს ის ქალიშვლი? აი რომელსაც ხედამთ, ღიმილი რომელსაც აშვენებს და ამკობს მისსა ვარდისფერს ტუჩებსა, რომელიც ამბობს თავის ენითა შეუცვლელათ, რომელსაც გული ანგელო-ზისა აქუ̂ს, რომელიც არს ნუგეშისა მიმცემი ყოვლი-სა.—ეხლა ვსთქუ̂ათ, რამ მიიყვანა ესე ანგელოზი თხუ-თმეტის წლის ქალი იმ საქმეზედა, რომ მოჰკლა მა-მაჲ თჳსი? ფულის მოყვარობამ რომელიც ჰქონდა მა-მასა მისსა? არა რა ფულის მოყვარება უნდა ჰქონდეს თხუთმეტის წლის ქალიშვილსა, თხუთმეტის წლისა ქა-ლიშვილი ჰფიქრობს ფულზედა, როგორც ბულბული, თავის გალობისათჳს, ვსთქუ̂ათ რომ ფულის მოყვარე-ბამ მიიყვანა ბეატრიჩე იმ საქმემდის, რომ მოჰკლა მამა თჳსი? რისთჳს იზამდა ამასა ესე უმანკო თხუთმეტის წლისა ქალწული? განა მაგას არა ჰქონდა დედისაგან დანატოვარი მზითევი, რომელიც იყო სამყოფი მზი-თვათ მაგისთჳს? არა უფალნო სუდიებო და პროკურო-რო მიიღეთ სიტყვანი ჩემნი სრულად აზრშია და გას-ჭერით აზრითა თქუ̂ენითა რომ ბეატრიჩეს ფულისთჳს არ მოუკლამს მამაჲ თჳსი, არამედ მისთჳს, რომ არ აღასრულა ქალწულმან, ბოროტებით სავსე სურვილი მამისა, . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . .

—ამისათჳს უფალნო სუდიებნო მე არ მივაწერ ბეატრიჩესა დამნაშავათა, არამედ უნდა ვმადლობდეთ უფალსა, რომ ჩუენს ქუეყანაში დაიბადა ამგვარი კეთილი ყული, და ამისათჳს ბეატრიჩე არ არის ღირსი სიკუდილისა.—

გაათავებდა რა ფარანჩიო თავისსა სიტყვასა, ყველანი განკვირდებოდნენ მისი მშუენიერ გამოთქმულობისა გამო, მაგრამ ყურადღებაშიაც არ მიიღებდნენ სუდიები მისსა მოხმარებასა, გათავდებოდა რა სუდი ფარანჩიო წარვიდოდა სიხარულითა სახლში დაიმედებული შველებითა ბეატრიჩესი და ჭირისუფალთა მისთა, სადაცა მიიღებდა საღამოზედა წიგნსა პაპისაგან, რომელნიც პაპა ამლევდა მას უმაღლეს ადგილსა, თავისი სწავლის გულისათჳს.—ფარანჩიოსა გაუხარდებოდა და უმეტესი იმედი მიეცემოდა და ტკბილათ დაეძინებოდა იმა ღამესა.

შეიტყეს რა სუდიებმა ბეატრიჩის დამნაშაობა, მისი გულისყოფანიც თან მიაყოლეს და სამ საათზე ღამით სუდიები შაიყრებოდნენ სუდისა სახლში და გარდასჭრიდნენ საქმესა პაპისა ბრძანებით რომ ბეატრიჩესა, ლუკრეციასა და ბერნადიროსა თავნი მოჰკვეთონ და დჟაკომოსა ეშაფოტისა მოყვანამდე აწვალონ სასჯელებითა და მერმეთ მასაც თავი მოჰკვეთონ და მათი მამული საეკლესიოთ დარჩესთ. და ამა გარდაწყვეტილობასა გარდასწერდნენ თეთრათა, რომელსაც მოაწერდნენ ყოველნი სუდიებნი კელთა და აგრეთვე პაპა კლიმენტელ VIII, რომელიც წაიღებდა ამა გარდაწყვეტილებასა და შეინახამდა უბეში.—

# ა ღ ს ა რ ე ბ ა.

## თავი XXIV

პაპა შაინახამდა დიდხანსა გარგაწყვეტილობასა ჩენჩებისასა და ულოდინებდა კარგსა დროსა, რათა გაემცხადებინა დამნაშავებისათჳს გარდაწყვეტილება, და ეს დრო მოვიდოდა მაშინა, ოდესაც გრაფის რჩევითა სანტაკროჩე, რომელიც იყო მოხსენებული წინეთა, მოკლამდა თავის დედასა და ამისათჳს პაპა კლიმენტ VIII განრისხდებოდა და იტყოდა: თუმცა ჩენჩნი არ დაისჯებიან, ყოველნი შჳლნი მოკვლენ თავიანთ მშობელთა და ამისათჳს პაპა უბრძანებდა გენერალ გუბერნატორსა რომისას ტავერნის, აღსრულებად გარდაწყვეტილობისა.—

რას შვრება მაშინ ქალწული ბეატრიჩე, როდესაც, ამზადებენ იმასა სიკჳდილისათჳს?

იმა ქალწულსა ქალსა სძინამს ამ დროს ტკბილის ძილითა დაიმედებული ფარანჩიოითა და ლალისა ფერნი ტუჩნი მისნი იღიმებოდნენ სიზმარში, იმ გვარად, როდესაც იცინოდა მამა მისისა სიკჳდილის დროსა, ოდესაც გვიდო აღასრულებდა სიკჳდილსა ფრანჩესკოისა.—ოო!! ეს ძილი რომ ყოფილიყო გამოუღვიძრათ რა კარგი იქმნებოდა ბეატრიჩესათჳს.
ბეატრიჩესა კიდევა სძინამს, მაგრამ ღიმილი იცვლება მისი უცბათა, წარბებსა შეჭმუხვნიდა, და რასა ჰფიქრობს ამ დროს სიზმარში საწყალი ბეატრიჩე? ჰფიქრობს რა ისა

თავის სიყვარულზედა? ანუ თავის უღმრთო მამაზედა? ანუ თავის სახელზედა? მოდი დაუკვირდეთ რასა ლაპარაკობს ამ დროსა ბეატრიჩე, აი რასა:

—ოო! ღმერთო რისთჳს ხარ ჩემზედ გამწყრალი? რა ვქენ და ან რა დავაშავე მე ამგვარი?—გარდაბრუნდებოდა რა ამდროსა ბეატრიჩე, ბორკილი მისი გაუშვებდა ხმასა, მაგრამ ბეატრიჩეს მაინც არ გამოეღვიძებოდა,—ამ დროს ბეატრიჩესა მოეჩვენებოდა: ვითომც თავისი უმფროსი ძმა დჲაკომო, მივა სიახლოვეს მისსა და ეტყვის:—«აღსდექ, ჩუ̂ჱნი საათი მოვიდა.»—

—«სად უნდა წავიდეთ რომ აღვსდგეთ»—ეტყოდა ძილში მოჩვენებასა ბეატრიჩე და ამდროს ისა ვინც რომ ეჩვენებოდა, მოიგრეხდა კისერსა და მოვარდებოდა მას თავი, ბეატრიჩე შეშინდებოდა და ყვირილით გამოიღვიძებდა.

გამოიღვიძებდა რა ბეატრიჩე, გარდაავლებდა თვალებსა ყოველ კერძოთი და შეხედამდა ერთსა კუთხესა, სადაცა იდგნენ მუხლთ მოდრეკითა ორნი სახენი კაცისა და ლოცულობდნენ სულისათჳს ბეატრიჩისა, და ერთი სახე განშორდებოდა თავის ადგილსა და მოახლოვდებოდა ბეატრიჩესა.—ბეატრიჩე იცნობდა იმაში მღუ̂დელსა კაპუცინსა, რომელიც იყო, გამოგზავნილი გუბერნატორისაგან აღსარებისათჳს და მივიდოდა რა ბეატრიჩესთან და ეტყოდა: სახელითა მამისათა და ძისათა, მოვედ თქუ̂ჱნდა, რათა გაგწმინდო თქუ̂ჱნ უწმინდურებისაგანა.

—მამაო! მიუგებდა ბეატრიჩე, უწმინდურება ჩემში

არაოდეს არ ყოფილა დ არც იქმნება.

—ღმერთმან ისრე ქმნას შვილო ჩემო! მაგრამ უწმინდურება დ ცოდვანი ყოველთჳს აქუს კაცსა განუშორებელად. დ ამისათჳს სთქვით აღსარება, რათა მიგეტევოსთ თქუენ ცოდვანი თქუენი.

—ხვალ ვიტყვი მამაო!

—ხვალ! რისთჳს გარდავსდვათ ხვალისათჳს, რადგანაც შეიძლება ეხლავე აღვასრულოთ ესა? ვინ იცის ხვალ რა საქმე შეემთხვევა კაცსა.

—ეს მართალი არს, მაგრამ თქუენ მობრძანდით ჩემთან უდროვო დროსა დ მე ეხლა არა ვარ მომზადებული აღსარებისათჳს, ეს არის სიზრმიდამ გამოვიღვიძე შეშინებული.—

—მაგას მართალსა ბრძანებთ, მაგრამ სიკუდილი ადამიანისა არ არჩევს დროსა დ ამისათჳს გამლევთ შრომასა რათა გვიბრძანოთ თქუენი ცოდვანი.—

ამ დროს შემოაღებდა კარსა დ შემოვიდოდა ბეატრიჩესთან სლედსტვენის ადვაკატი ჟანდარმებითა, რომელნიც მოვიდოდნენ გამოსაცხადებლად ბეატრიჩესთჳს გარდაწყვეტილობისა დ დაიწყებდა სლედსტვენის ადვაკატი:

—მე მოვალ თქუენდა, რათა განვიცხადოთ გარდაწყვდტილება ჰაჰისა.

—როგორი გარდაწყვეტილება, სიკუდილისა თუ? დაიყვირებდა შეშინებული ბეატრიჩე.

მომღუარი კაპუცინი დაიფარვიდა თვალებზედ რა კელსა დ სლედსტვენის ადვოკატი გარდუხრიდა თავსა, რა-

სა ნიშნამდა აღსრულებასა სიკუდილისასა.—

ბეატრიჩე გამწარებული მოჰკიდებდა კელებსა მღუდლის ანაფორასა ๘ იტყოდა:

ოო! ღმერთო! ღმერთო ჩემო! როგორ შეიძლება ჯერეთ ჩემი სიკუდილი? რისთჳს მართმევენ მე ჩემს სიცოცხლესა? მე ეხლა არ დავიბადე? ღმერთო! რა ვქენ მე ამგვარი რომ კვლენ ჩემს უმანკო სიცოცხლესა, კიდევ ვისა? თხუთმეტის წლის ქალწულსა ქალსა.

—ნუ სწუხართ შჳლო ჩემო! ეტყოდა მოძღვარი ბეატრიჩესა, სიცოცხლე არ არის გაცისთჳს სანატრელი, ნეტავი მათ, რომელნიც არ გაჩენილან სიცოცხლისათჳს ๘ ნეტავი მათ, რომელნიც მომკუდარან ადრეთა ๘ წაუყვანია მათი სული უფალსა. რა გიყო თქუჱნ სიცოცხლემ, რომ აგრე სწუხართ მას ზედა?

—არასფერი, არასფერი! მიუგო ბეატრიჩემ, მწუხარების მეტი, სასჯელისა ๘ ცრემლის მეტი არასფერი.

—მაშ გამაგრდით საყვარელო შჳლო! ๘ განაგდეთ ცრემლნი ესე ქუჱყანისანი.

—მაგრამ, როგორ განვაგდო მამაო! რაგვარ არს სიკუდილი ჩემი.

აქ მოძღუარი დაუწყებდა ქადაგებასა ๘ დარიგებასა; ბეატრიჩე ამოიოხვრიდა:

—ოო!!! სიკუდილო!... სიკ...ვ...დი...ო! ათრთოლებით იტყოდა რა ამასა ბეატრიჩე, გარდიქცევოდა.

—მიშველეთ, მიშველეთ, დაიწყებდა ყვირილსა ვირქინი ๘ გაიქცევოდა წყლისათჳს, მაგრამ ამ დროს მო-

ბრუნდებოდა ბეატრიჩე ~~და~~ იტყოდა:

—უკაცრავათ გახლავარ უფალო სლედსტვენის ადვოკატო და მამაო კაპუცინ, რომ ამ სახით მოვიქეცი მე და სიკუდილი მომერია მე, მაგრამ იესო მაცხოვარიც გარდიქცა სიკუდილის დროს.—და ეხლა მიბრძანეთ და აღასრულეთ თქუენი ბრძანება, უფალო სლედსტვენის ადვოკატო!

წარუკითხამდა რა სლედსტვენის ადვოკატი გარდაწყვეტილებასა, ბეატრიჩე ისმენდა მშვიდობიანათ, და როდესაც ადვოკატი გაათავებდა რა გავიდოდა.—ბეატრიჩე მოუბრუნდებოდა ვირჯინის და ეტყოდა:

—გადი ჩემო საყვარელო დაო! ხედამ რა ცოტა დროებას მამლევენ, ხვალ უნდა გათავდეს ჩემი სიცოცხლე, გადი აღსარება უნდა ვსთქუა. და მერმეთ მე დაგიძახებ შენა.

გავიდოდა რა ვირჯინი დაღონებულად, ბეატრიჩე შეხედამდა იმ ალაგსა სადაცა იდგა უწინ მღუდელი და ნახვიდა იქა კიდევ მდგომარესა სახესა, რომელიც იყო გამოხვევული მღუდლის სახვეველში და იყო გაშტერებული.

—რისთჳს ის კაცი აქ არის და როგორა ბედავს აქ ყოფნასა აღსარების დროს?

იტყოდა რა ამასა ბეატრიჩე, მომღვარი კაპუცინი გაჩერდებოდა, რათა არ უნდოდა გაემხილა, თუ ვინ იყო ის კაცი.—ბეატრიჩე განკვირდებოდა და დაუწყებდა მზერასა ხან მომღვარსა და ხან იმ კაცსა, რომელიც იყო

გაჩერებული კუთხეში.—

ის დაჩოქილი კაცი იყო გვიდო საყვარელი საქრმო ბეატრიჩესი, რომელიც იყო განგებ გამოხვეული მღუდლის სახვეველშია და წამოიწევოდა რა წინეთ ბეატრიჩესკენა, ფერხნი მისნი აღარ მისცემდნენ მას ნებასა გამოწევათ წინეთა და ამოიქვნეშიდა ჯავრიან გულითა.

— ვინ არის ეს კაცი რომ სტირის. იტყოდა ბეატრიჩე, მე არ მეგონა თუ ამ საპყრობილეში იქნებოდა იმგვარი კაცი, რომელსაც ჩემთჳს შესტკიოდა გული.

გაიგონა რა ეს საწყალმან გვიდომან, გარდიგდებდა თავისსა სახვეველსა და წარმოსდგებოდა მშუენიერ პირის სახითა თავის საყვარლის წინეთა, ბეატრიჩე შეხედავდა რა გვიდოს, განცვიფრდებოდა და წამოხტებოდა გარდასახვევათ ყელში გვიდოსათჳს, მაგრამ მოძღვარი არ მისცემდა ნებასა შეყვარებულთა რათა უკანასკნელითა გარდახვევითა ნუგეშ ეცათ თავიანთნი დაღმეშილნი გულნი.—გვიდოს უნდოდა, რათა ყოფილიყო რამოდენიმე ხანსა თავის ბეატრიჩესთან, მაგრამ მოძღვარი, რომელიც დამალვით შემოიყვანდა იმასა ბეატრიჩესთან და შიშისა გამო რათა ის არ იცნონ მასში გვიდოსა სახეი გარდაიცმევდა მოძღვრისა სახვეველსა და გამოჰყვებოდა გარეთა გვიდოსა.—გამოთხოვებისა დროს საწყალი გვიდო მოჰკიდებდა მარჯუენა ჴელსა ბეატრიჩესა, რომელზედაც ჰქონდა თავის გამოგზავნილი ბეჭედი და აკოცებდა მას ზედა მწარეთ, გავიდოდა რა გვიდო ბეატრიჩეს დაეკარგებოდა ენა, და არ იყო შეძლებულ სთ-

ქმად ერთისა სიტყვისა, მარტო თვალებს გააყოლებდა გამომავალსა გვიდოსა.—ბეატრიჩე მერმეთ არღილებდა თავის მარჯვენა ხელსა და ნახამდა მას ზედა ცრემლსა გვიდოსისასა, რომელიც ბრწყინამდა ბრილიანტსავითა და გულისა ამოხვრითა იტყოდა:

—აი საჩუქარი, რომელიც დამიტ[illegible]ნ გვიდომან და არღილებდა ცრემლსა თავის გვიდოსისა.—

გააცილებდა რა გვიდოსა, მოძღვარი მობრუნდებოდა და ბეატრიჩე ჰკითხამდა მოძღვარსა:

—მამაო სად წავიდა ეხლა ჩემი გვიდო?

—მონასტერში.

ახ! რა უბედური მყავს მე ჩემი გვიდო!.....

—დიახ მრიელ უბედური არს, მაგრამ ის ხშირათ მოდის ხოლმე აქა—თქუჱნს სანახავათ, და ანუგეშებს გულსა თქუჱნის მხრითა და ამ სიტყვებითა ნუგეშსა სცემდა ბეატრიჩესა.

—თუ ასრე არს, რისთჳს ვერ ვხედამ მე გვიდოსა ყოველ დღესა? მამაო გევედრები თქუჱნა, თუმც კიდევ ნახოთ ჩემი გვიდო უთხარით, ჩემს მაგიერათ, რომ ის წავიდეს ამ ქუჱყნიდამა, თორემ აქაურს ხალხსა გული ეშმაკისა აქუსთ და გარევენ რაიმე უბედურებაში იმასაც, აქ ვერ ვნახე მე კეთილი კაცი ჰალაჩის მეტი.

—კარგი, მე ვეტყვი იმასა.......

—და თუმც არ დაგვევსთ ნებასა, უთხარით, რომ ეს იყო მისთჳს ჩემი უკანასკნელი თხოვნა.—

—კარგი შვილო ჩემო! გეყოფათ იმაზედ ლაპარაკი, ეხლა მითხარით ყოველი ცოდვანი თქვენნი რათა სული თქვენნი იქმნება უმანკო და წმინდა.—ბეატრიჩე განაღებდა თავის წმინდა გულსა და ეტყოდა თავის ცოდვათა, რომელნიც არ ჩავარდებოდნენ,ცოდვათა, არამედ ბავშვისა სიყმაწვილეთა და მამისა კვლაშია არას ეტყოდა რასა, რამეთუ არ იყო დამნაშავი ამაში.

მოძღვარი აიღებდა აზრსა ვითომც ბეატრიჩე სირცხვილისა გამო ჰფარამდა მამის კვლასა და შეახსენებდა ბეატრიჩესა, რამეთუ მას ეთქვა ყოველივე ცოდვანი.

—მამაო და მოძღვარო ჩემო! რაიცა მე მიქმნია დიდი ცოდვანი ვაღვიარე და ეს იყო და წვრილნი ცოდვანი, რომელნიც მე არ მახსოვს ისინი ღმერთმან შემინდოს.

—მაგრამ გთხოვთ საყვარელო შვილო კარგათ მოიგონოთ უდიდესი ცოდვა რა გიქმნიათ.

ბეატრიჩე დაიწყებდა ფიქრობასა და ვერას მოიგონებდა, რამეთუ არ იყო დამნაშავი არა რაიმე საქმეში. აქ მოძღვარი იფიქრებდა, რომ ბეატრიჩე მალავდა თავის მამის კვლასა და ეტყოდა:

—მაშ ფრანჩესკო ჩენჩი ვინ მოკლა?

—მე არა მაქვს ნება რათა ვსთქვა სხვისა ცოდვანი.

—როგორ, თქვენ არ მოგიკლამს ისა?

—მე არა, მე არ მომიკლამს ისა.

—მაშ რისთვის დაიდეთ ეს დამნაშაობა თავზედა?

—მამაო! აი რისთვის დავიდევ თავზედა მე ისე და-

მნაშაობა მოიხსენეთ: ჩემმა ჭირისუფალმა და ფარან-ჩიომ ჩემმან ადვოკატმან მთხოვეს მე, რათა დამედვა ესე საქმე ჩემს თავზედ რამეთუ ეგონათ თუ ამითა მე უშველიდი ჩემს თავსა და აგრეთვე ჩემთ ჭირისუფალთა.-- შევხედე რა ჩემთა ჭირისუფალთა, რომელნიც ცრემლი-თა მეხვეწებოდნენ მე აღსრულებად ამისა, ვაჩვენე ტყუ-ილი ჩუჱნება, მაშინ, როდესაც ვიყავი სრულებით თა-ვისუფალი და გადარჩენილი უღმრთო სასჯელისაგან, მაგრამ ამითაც ვერასფერი გაუკეთე ჩემთ ჭირისუფალთა, და დავღუპე თავი ჩემი და თავნი ჩემის ჭირისუფლებისა, ფარანჩიოს გამო, ჩემი სიმართლე ეს არის.

—რისთჳს დარწმუნდით თქუჱნ ფარანჩიოზედ, თუ-ასრე იყო.

—მისთჳს, რომ ფარანჩიო იყო განათლებული და სწავლული კაცი ეს ერთი, მეორეთ მისთჳს რომ ის იყო გამოგზაჳნილი იმ გვარ კაცისაგან, რომ მე უნდა დავყოლოდი ფარანჩიოს რჩევასა.

—ვისგან იყო გამოგზავნილი ისა?

—გვიდოსაგან, რომელმაც გამოატანა თავისი ბეჭე-დი მისთჳს, რომ მე დავყოლოდი ფარანჩიოსა.

—მაშ საყვარელო შვილო კიდევ გეცოდინებათ თქუჱნ ვინ მოკლა ფარანჩესკო და ამისათჳს ნუ დამი-მალამ მე როგორც მოძღვარსა.

—ოო! ეს არ შემიძლიან, ეს ღმერთმა გაშინჯოს.

—არა საყვარელო შვილო თუმც მე დამიმალავთ, უფალსაც დაუმალავთ.

აქ ბეატრიჩე მოუყვებოდა როგორც იყო. მოძღვარი განკვირდებოდა და შესთვლიდა:

—ღმერთო! ამგვარი წმინდა სული ჯერეთ ჩემთ თვალთ არ უნახამთს, როგორცა ეს ქალწული ქალი.

მერმეთ მოუბრუნდებოდა და დალოცვიდა ბეატრიჩესა:

—წმინდაო სულო! შენ ხარ წმინდა როგორც ანგელოზი და მე არ მალ მიძს დალოცვად თქჳენი, რამეთუ თქჳენი წმინდა გული არს გამზადებული უფალითა სასუფეველში და ამისათჳს გთხოვ ქალწულო ბეატრიჩე! მიმუამდგომელო უფალთან ჩემის სულისათჳს და აგრეთვე იმათი სულისათჳს რომელთაც გარდაწყვიტეს სიკჳდილი თქჳენი.—

იტყოდა რა ამასა ბეატრიჩე დასდგებოდა მუხლთ მოდრეკით წინაშე მღჳთის მშობლისა და შესწირამდა მას მადლობასა, რომ მალე მოითხოვა ისა განშორებად ამა ქჳეყნიდამა და უმჯობეს მადლობდა მისთჳს რომ აჩვენა მას უფალმან უკანასკნელსა დროსა თავისი გვიდო, რომელსაც შორდებოდა ამ სოფლიერათ და ჰქონდა იმედი ნახვად მისსა იმ სოფლიერად.

ამ დროს ეტყოდა ბეატრიჩე მოძღვარსა:

—მამაო მექმნება თუ არა მე იმედი ნახვად ჩემის გვიდოსისა იმ სოფლიერად, რომ ღმერთმან აპატიოს იმასა თავის შენაცოდები?

—შვილო ჩემო! დაივიწყე ყოველივე ბიწიერი სიყჳარული და იქმენ მიქცეულ მარტო ლოცვად უფლისა.

—ეს მეც მესმის, მაგრამ, მე მსურს რომ გვიდოსა

ჩემსა ვენახავდე იმ სოფლიერად, რათა იქ დავიწერდე იმაზედ ჯვარსა: ამ დროს მოვიდოდა ბრძანება პაპისაგან, რათა ბეატრიჩესა ჰქონდა ნება ნახვად თავის დედის ნაცვლისა სიკუდილამდე და ამისათჳს მომღვარი ეტყოდა ბეატრიჩესა:—გსურთ შვილო ჩემო რომ ნახოთ ლუკრეცია?

ოო! როგორ არ მსურს! ნუგეშსა მაინც მივსცემთ ერთი ერთმანეთსა.

---

მომზადება სიკუდილისა.

## თავი XXV

მე არ მალ მიძს აღწერად იმა შემთხვევისა, როდესაც დედა და შვილი შაიყრებოდნენ ერთათა, და ტირილითა და ცრემლითა ნუგეშსა სცემდნენ ერთი მეორესა უკანასკნელითა შეყრილობითა.—მაგრამ ცრემლიც, რომელიც არს დატოვებული ადამისაგანა ჩუჱნთჳს, ისეცა დაილევა მალე და ორნივე დედა და შვილი მისცემდნენ რა ერთი მეორესა ნუგეშსა დამშვიდდებოდნენ და უბედურნი ქალნი მალას აძლევდნენ თავიანთ თავსა, რათა გაიტანონ შემდგომი მწუხარება, რომელიც იმათ ელოდა უკანასკნელისა სიცოცხლითა.—

თვალნი ბეატრიჩესნი გაჩერდებოდნენ ტანისამოსზედა

თავის დედის ნაცვლისა, რომელიც იყო ჩაცმული ძვირფას ხავერდის ტანსაცმელში, და მერმეთ დაიხედამდა თავის ტანისამოსზედა და შეხედამდა, რომ თითონაც ეცვა ძვირფასი კაბა მწვანე ატლასისა ნაკერი მოწვეულითა და მარგალიტითა, რომელიც უყვარდა ყოველთა ტანისამოსზედ უმჯობეს, რომელსაცა იცვამდა მხიარულთა დროებში — და აქ ბეატრიჩეს გაახსენდებოდა, რომ როდესაც ბეატრიჩე გვიდოს ნახვიდა, მაშინ ამ კაბითა გამოვიდოდა ხოლმე მასთან და ამისათჳს ეს კაბა რომელიც ეცვა იყო უძვირფასესი ყოვლისა ძვირფასთ კაბებისა ბეატრიჩესთჳს და ეხლა რადგანაც ბეატრიჩე ხვალვე ემზადებოდა წასვლად ეშაფოტსა ზედა, სადაც უნდა მოეკვეთათ მისთჳს კისერი, იფიქრებდა რომ ამ ძვირფასისა ტანისაცმელითა არა ღირდა წასვლად იმ ქორწილშია, სადაც ემზადებოდნენ ყველა ჩენჩები, თავის მოსაკვეთად; — დედის ნაცვალიც დაუჯერებდა, რამეთუ უმჯობეს იქმნებოდა გამოცვლად ძვირფას ტანსამოსისა, რომელნიც ჰქონდათ ჩაცმულნი და ამისათჳს ეტყოდა ბეატრიჩე პალაჩის ქალიშვილსა:

— ვირჯინი! გვიშოვე მე და დედასა, რაიმე უბრალო ტილოს ნაქსოვი, ბაწრები და თითო ზეწარი, რათა გამოვიხვიოთ თავნი ჩუჱნნი წასვლად ხვალ ჩუჱნსა ქორწილში. — რისთჳს არ მაძლევ ვირჯინი პასუხსა ჰა? საწყალი ვირჯინი იყო დაღონებული ბეატრიჩეს სიტყვებითა, და არ შეეძლო თქმად პასუხისა ბეატრიჩესთჳს. — და რამოდენიმე ხნისა შემდეგ ვირჯინი გაიმაგრე-

ბდა გულსა ᲓᲐ მიუგებდა:

—ბატონი ბრძანდებით! მე მაქუს უბრალო ჩითის კაბა; რომელიც მამამან ჩემმან მიუიდა მე იარმორკაში, ᲓᲐ თუ გნებავთ მოირთევით.

—კარგი იქმნება ჩემო საყვარელო ვირჟინი! მე თვლებსა ᲓᲐ მვირს კარგს კაბებსა დაგიტოვებ მაგიერში, მაგრამ ბაწარი ᲓᲐ ზეწარი სად ვიშოვოთ.

—ბაწრები მამასა ჩემსა აქუს მუდამ, რადგანაც ჰალაჩი არს ᲓᲐ ზეწრებს მისნი თანამემწენი იმდღესვე ოდესაც.!.....ᲓᲐ აქ საწყალი ვირჟინი დაიწყებდა ტირილსა, რათა მოეწკვებოდა გული თავის ნათქვამ სიტყვებითა.

მერმეთ ბეატრიჩე მოეფერებოდა რა ვირჟინის, გაგზავნიდა მოტანად ჩითის კაბისა საჩქაროდ, რამეთუ დრო იყო მოკლე.

ვირჟინი მოიტანდა რა, ბეატრიჩე იმ წამსვე მივარდებოდა შეკერვად მისსა ᲓᲐ მოიხმარდა ლუკრეციასა ᲓᲐ ვირჟინის შეკერვაშია, მაგრამ საწყალი ლუკრეცია დედისნაცვალი მისი სტიროდა ᲓᲐ დაღონებისა გამო არ ემლო კერვა კაბისა, ვირჟინი იყო დაღონებული ᲓᲐ კელნი მისნი თრთოდნენ, მარტო ბეატრიჩე იყო მაგრათა ᲓᲐ ეტყოდა დედასა:

—რა გატირებს დედა! სიკუდილი თქუენ რომ გგონიათ იმგვარი მნელი არ არის, სიკუდილისა უტკბესი არა რაიმე არი ქუეყანასა ზედა ᲓᲐ ამ სიტყვებითა ნუგეშსა სცემდა ბეატრიჩე თავის დედის-ნაცვალსა.

მოაწია რა დილამა ბეატრიჩემ იგრძნო მოახლოვება უკანასკნელის საათისა და დავარდებოდა მუხლთ მოდრეკითა წინაშე ხატისა და დაიწყებდა ლოცვასა; ლუკრეცია და ვირჯინიც დაიწყებდნენ ლოცვასა, ცოტა ხანს შემდეგ კარი გაიღებოდა და შემოვიდოდა პალაჩის თანაშემწე სამართებელითა ჴელში, შეხედამდა რა ბეატრიჩე პალაჩის თანაშემწესა ტანი აუთრთოლდებოდა მაგრამ, სიმარჯვით ეტყოდა მოსულსა კაცსა:

—სთქვით რისთჳს მოსულხართ, ჩუენ სულ მასთანა ვართ, აღასრულე თქუენი სურვილი თორემ უკანასკნელი დრო მოახლოებულ არს?

—თქუენო ბრწყინვალებავ! ეტყოდა პალაჩსა თანაშემწე ბეატრიჩესა, თქუენც მოგეხსენებათ რისთჳს მიჭირამს სამართებელი, თმა უნდა მოიპარსოთ ჩვეულებისამებრ.

—თმანნი!.... მაშ კარგი. ამდროს გამოიღებდა თმიდგან სავარცხელსა, რომლითაც ჰქონდა დაკავებული ზევითა, და ოქროს ფერნი ნაწნავნი შოლტებივითა თმანი მისნი გარდმოეურებოდა ბეატრიჩესა კოჭებამდისა.—აი ჩემი თმა და რაც გინდათ უყავით. რაღას გაჩერებულხართ მოსჭერით ეს ნაწნავი საჩქაროთ. და პალაჩის თანაშემწე მიაღებდა რა სამართებელსა ნაწნავნი ბეატრიჩესი დაეცემოდნენ შოლტებივითა პოლზედა.—

ბეატრიჩე შეხედამდა რა თავის თმასა, დავარდნილსა პოლზედა, გული მისი შეწუხდებოდა, და წამოუსკდებოდა თვალთაგან მისთა ცრემლნი. თმანნი, რომლითაც

ხარობდა ბეატრიჩე მისთა მშუენიერებითა, და რომლისა-გამო იყვნენ განკვირვებულნი მხედველნი და მლექსველნი რომელნიც თავიანთ ლექსშია ადიდებდნენ და აქებდნენ თმასა ბეატრიჩესასა, ეხლა ტყუილა უბრალოთ ეყარნენ ჯოლზედა მოჭრილნი ჯალაჩის კელითა.

ბეატრიჩე დაიღუნვიდა ასაღებად თავისის მოჭრილი ნაწნავებისათჳს, მაგრამ ერთისა კელითა არ შეეძლო იმასა აღებად შოლტებივითა ნაწნავებისა და ამისათჳს ორნივე კელითა დაიჭერდა კელშია და ეტყოდა თავის თმებსა:

—ოო! ამხანაგო ჩემის ყოვლისა უბედურებისაო! ეტყოდა ბეატრიჩე თავის თმასა, მე მქონდა იმედი, რომ მე შენ არ გამშორდებოდი არც სიკუდილითა და მქონდა იმედი დიდი, რომ შენც ჩემთან იქმნებოდი ჩემს საფლავშია, მაგრამ არ მოხდა, ალბათ ღმერთსა ასრე ნებავდა.-

მერმეთ აიღებდა ერთს საკავესა თავის მოჭრილის თმითგან, და დანაშთენსა ჩაჰყრიდა ცეცხლშია, სადაც ოქროსა ფერნი თმანი მისნი გარდიქცევოდნენ მტვერათა, და ამა საკავესა მისცემდა ვირჟინის და ეტყოდა:—

—შენ ვირჟინი გაბარებ ამ ჩემს თმისა ნაჭერსა და ვიცი, რომ როდისმე შეხვდები სანახავად ერთსა მშუენიერს ახალგაზდა ყმაწვილსა, რომელიც არს ფრიად მშუენიერი და აგრეთვე არს შეწუხებული, რომელსაც ჰქვიან საკელად გვიდო, და გარდაეცი ეს ჩემი თმის ნაწნავი და უთხარი რომ მაქუს იმედი თქო, რადგანაც ამა ქუეყნიერათ განვაშორესთქო, იმ ქუეყნიერათ მაინც და-

კიწერთ ჯვარსათქო, და შენ ჩემო საყვარელო ვირჯინი დაგიტოვებ ჩემსა ფულებსა, რაცა მაქჳს ამ საპყრობილეში და აგრეთვე ჩემს ძვირფას ტანისამოსსა, ვიცი შენც ჩემსავით უბედური ხარ, მაგრამ ვლოცავ ღმერთსა, რათა უფალმან გიშველოს შენა. დასამტკიცებლად ამისა მიიღე ჩემგან უკანასკნელი ნაზი კოცნა და აკოცებდა ვირჯინის თჳალებში.

---

(ზოგი მერე იყოს).

გ. ასათიანი.

# ურიების თორა, და სასწაუ-ლი დღე

1870 წელსა მარტის თვესა; ურიების თამაშა ჩემმა ამხანაგმა მიქო, რომ წავსულიყავი დ̃ მენახა; თუმცა არ მინდოდა ურიების თორის ნახვა, მაგრამ მალათი წამიყვანა. იმ დროს მივედით, რომ ხუთის მეტი არა-ვინ იყვნენ თორაში. რასაკჳრველია დავღუნეთ თავი დ̃ შევედით თორაში; ბნელაში აქა იქა, . . . . ჩნდნენ ურიეები. სამოცამდინაც, რომ შემოვიდნენ, ახალგაზდა ხახამმა დაიწყო თავიანთ ენაზე წიგნის კითხვა ბნელა-ში, თითქმის ნახევარ საათმა გასტანა. მლოცავნი ურიები მანამ ჩუმათ იყვნენ, მანამ ხახამი დაასრულე-ბდა კითხვას. როდესაც კითხვა გაათავა, უცებ ებრეუ-ლათ შესძახა: ბარუხათა ადონე (ღმერთო ჩუ̂ნო). ამ ხმაზედ ურიებმაც ერთ-პირად შესძახეს ბარუხათა; უცებ წამოხტნენ, წმინდა სამთელი აანთეს, ყველამ თავთავის წიგნები აიღეს დ̃ მოჰყვნენ კითხვას; კარგა ხანი კით-ხულობდნენ დ̃ ევედრებოდნენ. რაკი სამთლებმა თორა გაანათეს, მე მივიხედ-მოვიხედე დ̃ დასავლეთისაკენ ხამი

ფარდა დავინახე ჩამოშვებულები; აქეთ-იქით სამოცნაირი ნაჭრებით იყო შეხამებული, რომელიც შუაში დიდი ფარდა იყო, ის ფარდაც სამ ფერი ფარჩებით იყო შეხამებული; შუაში ყვითელი მოვი იყო, მარჯვნივ მხარეს ეკერა წითელი ყანაოზი და მარცხნივ სერი მოვი. ფარდასთან იყო ტახტი შეკრული, ტახტზედ დიდი ფარდის პირ და პირ იდვა საწიგნობელი და ხახამს ზედ ედო ერთი წიგნი, და ხახამმა დაიწყო კითხუა: ხახამი სადაც იდგა, აქეთ იქით ორი ბოძი ჰქონდა ჭერებს მიდგმული; მარჯვენა ბოძზედ ორი თითო ჩარექი ქაღალდი იყო მიკრული, რომლებზედაც ებრაულად ეწერა. მარცხენა ბოძზედაც იგივე ნაწერი მხოლოდ ერთი; , . . . . . სკამები იდგა მწკრივათ და ზოგისათვინ გძელი ტაბურეტკები. ხახამმა კვალად მაღალის ხმით დაიძახა: ვეჰე!!! ლაუბინ. ამ თქმაზე, ურიებმა ხმა მაღლა ღაღადებით დაიწყეს: ალილუია. მერე უცებ დაჩუმდნენ, წიგნები მოკეცეს და თავიანთ სკამებზედ დასხდნენ. აგრეთვე იგივე საკითხავი განაგრძო და შესძახა: ადონა ბარუხათა და მალიმალ თავის საკითხავ წიგნს თავს უკრამდა. სხვათაც იგივე შესძახეს: ადონა ბარუხათა, და ტორტმანით დაიწყეს წიგნის კითხვა. ხახამმა კიდევ შესძახა: ბირუა ლაუიმ. ამ თქმაზედ ყველანი ორ-ორჯელ შეხტნენ, თავზე ჩამოიცვეს თეთრი მიტკლის სისირები, დაიწყეს ტორტმანით ბღუილი, და აქეთ იქით თავს იქნევდნენ. ხუთი მინუტის შემდეგ აიხადეს თავიდგან სისირები, ერთათ პირქვე დაეცნენ; ადგნენ და სათითაოთ

აიღეს კეტები, ზოგმა ურმის ხვედა, ზოგმა დალურსმული კონბალი და დაუწყეს ჰოლსა და სკამებს რახა-რუხი. ასე რომ თითქმის კინაღამ სკამები დალეწეს, არა რომ შვიდამდინ ლუკმა-ლუკმა დალეწეს იმტენი რახუნით.

ამათ შორის, ებრეელების რაბინმა . . . . . კიდობნიდგან ამოიღო ძველთაგანი თავიანთ დაბადება; რა ებრეელებმა დაინახეს, შექნეს საშინელი ყვირილი და ქღივილი. ამ ქღივილ ხივილში შექნეს ჩოჩქოლი; ერთი იძახდა: მე უნდა მერგოს დაბადებაო. მეორე, მესამე და სხვანი სულ ამას იძახოდნენ: არა მე უნდა მერგოსო; რომელსაც დაბადება ეჭირა, წაართვა და ლაჯებში ჩაიდო იმოდენა წიგნი. იმ წიგნის მომტაცეველს, იმტენი ურიობა სულ იმ ერთს მიეხვივნენ და წაართვეს დაბადება. ამ ტაციაობაში მოუვიდათ ჩხუბი და ერთმანეთს დაუწყეს . . . . . . . ცემა-ტყეპა. რაბინი შესწუხდა იმისთანა ჩხუბით; ყველანი გააშორა ერთმანეთს, ყველას უქადაგა რაღაცა, გამოართვა დაბადება და მოხუცებულს ხახამს არგუნა! ყველანი დამშვიდდნენ და დასხდნენ; ხახამს ქადაგება დაუწყო და ასწავებდა რაბინი; რაბინის ქადაგებაზედ შესძახეს: ამინ იხუნ, ბარუხათა, და ალილუია. ამ წარმოდგენით გათავდა იმათი ლოცვა, და მიეცა დასასრული.

რა დასასრული მიეცა იმათ ლოცვას, მოვიდოდნენ წყვილ-წყვილი კარებთან, მიბრუნდებოდნენ, დიდ ფარდას თავს დაუკრამდნენ ხოლმე, გამობრუნდებოდნენ, მოვიდოდნენ კარებთან, აღმოსავლეთის მხარეს კარებთან,

ერთი მტკაველი თუნუქა იყო ორის ლურსმით დალურსმული; იმ თუნუქას შუაში თეთრი მიწა ჰქონდა ჩასმული, იმ შუშას ორს თითს დაადებდნენ ხოლმე, თავიანთ თითებს აკოცებდნენ და ისე გადიოდნენ, ახალ გაზდანი. რომელნიც მოხუცებულთაგანნი იყვნენ, ისინი თითო გამოვიდოდნენ, ხუთს მოხუცებულთაგანს თავზედ ჴელს დაადებდნენ ხოლმე და ისე გადიოდნენ კარში.

ესე ჩემო კეთილო მკითხველო! იმათი თორა მხოლოდ სამი ფარდით და მინა ჩასმული თუნუქით გახლდა მორთული. ებრეელები თავიანთ ლოცვიდგან მხოლოდ ამისთანა კმაყოფილებით გამოვიდნენ, .....
......... და დაქანცულები გიახლნენ.—

1870 წ. მარტის თვესა.

კონსტანტინე ბურმენოვი.